# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 ოქტომბერი 2002 №193 (1715) ფასი 50 თეთრი

# რუსული ტაქტიკა

## თამაში სხვის ტერიტორიაზე კარგად გაწვრთნილი ბოევიკებით




# გაზაევის ენა გუცაევმა იცის

# შეუტიე და გააცოფე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

# საქართველო — რუსეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 ოქტომბერი. 20 საათი




# თბილისამდე 1:1
## რუსეთი დიდი ხმაურით მოდის

**საქართველოს** ეროვნული გუნდის ხვალინდელი მეტოქე რუსეთის ნაკრები თბილისს დღეს, ორის ნახევარზე მოსკოვიდან ჩარტერული რეისით ესტუმრება. რუსეთის დელეგაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იქნება. გუნდისა და საფეხბურთო კავშირის მოხელეთა გარდა, თვითმფრინავში სხვადასხვა უწყებათა ჩინოვნიკთათვის, ვეტერან ფეხბურთელთათვის და სხვა სახელოვან სპორტსმენთა ადგილებიც არის. მასპინძლები დაახლოებით 120 სტუმარს ელიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩვენი რუსი კოლეგებისგან უკვე მიიღო 12 ოქტომბრის მატჩისთვის 42 საარელიტაციო განაცხადი და ყველას დააკმაყოფილებს. 42-დან 30 მწერალი ჟურნალისტია, დანარჩენი ფოტო და ტელე რეპორტიორი. კოლეგათა ნაწილი თბილისში გუშინ, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ჩამოვიდა, დანარჩენებიც დღეს გვესტუმრებიან. ერთგულ ქომაგთაგან კი რუსების გუნდს მხოლოდ 5 მოჰყვება და გადაჭარბებულია ნათქვამი, აქაოდა, რუსეთიდან 200-250 გულშემატკივარი ჩამოვა გაზაევის ბიჭების გასამხნევებლადო. ყოველ შემთხვევაში, გუშინ რუსეთში საქართველოს საკონსულოში გვითხრეს, რომ ვიზები მხოლოდ თბილისში წამომსვლელ ოფიციალური დელეგაციის წევრებს მისცეს, კერძო პირთაგან კი სულ ოცი განცხადება დააკმაყოფილეს, მათგან 15 რუსეთში მცხოვრები ქართველებისა.


გისოსებს მიღმა საქართველოს ნაკრებია

თბილისში ჩამოსული რუსეთის ნაკრები სასტუმრო „მეტეხში" დაბინავდება და როგორც ვიცით, მე-6 სართულს მთლიანად დაიკავებს. სამის ნახევარზე სტუმრები, ცხადია, მწვრთნელ ვალერი გაზაევის თამადობით პრესკონფერენციას გამართავენ, რის შემდეგაც გაზაევის თანაშემწეები ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩზე დასწრებას აპირებენ. ვარჯიში რუსებს შვიდ საათზე „ლოკომოტივის" სტადიონზე აქვთ დაგეგმილი, თუმც შესაძლოა, ვარჯიში რვა საათისთვის გადასწიონ. ამას გაზაევი თბილისში ჩამოსული გადაწყვეტს. გუშინ კი მეტოქემ მოსკოვის მახლობელ საწვრთნელ ბაზაზე ორმხრივი მატჩი გამართა და, როგორც ჩვენი რუსი კოლეგები ამბობენ, თამაში იმდენად დაძაბული და საინტერესო ყოფილა, უცხო თვალს ოფიციალური შეხვედრა ეგონებოდა. მატჩი 1:1 დასრულებულა, გოლები არშიელ გუსევსა და ზენიტელ კერჟაკოვს გაუტანიათ. გაზაევს კი უთქვამს, დარწმუნებული ვარ, ეს მატჩი ქართველებთან დაპირისპირებისას დიდ სამსახურს გაგვიწევს. ბიჭები კარგ ფორმაში არიან, მათი მომზადების დონე მაკმაყოფილებსო.

რუსთა მწვრთნელის ოპტიმიზმი მთელ დერჟავასაც გადასდებია. ისევ კოლეგათა ნათქვამს მოვიშველიებთ, ქომაგებს თავიანთი გუნდის მოგების გარდა, თურმე, სხვა შედეგის გაგონებაც არ სურთ. მეტიც, დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთი საქართველოს იოლად დაამარცხებს. თუმც, ისიც ვთქვათ, ამხელა რუსეთში კანტიკუნტად ისეთი ქომაგიც რომ მოიძებნება, ვინც ფრეს ვარაუდობს და ეს ყველაზე ლოგიკურ შედეგად მიაჩნია. რუსების საყოველთაო ოპტიმიზმზე ინტერაქტიული გამოკითხვებიც მეტყველებს — გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას თავისი გუნდის გამარჯვების სჯერა.

აი ასე. დიდი გულითა და დიდი დელეგაციით მოდის დიდი რუსეთი.

რას დახვდება სტუმარს საქართველოს ნაკრები?

ბევრს ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან ეროვნული გუნდი სასტუმრო „საირმეშია" გამოკეტილი და დიღმის ბაზაზე გადარაზულ ალაყაფს მიღმა ვარჯიშობს. დიდი დავიდარაბის შემდეგ მოედნის კიდესთან ჩვენი ფოტორეპორტიორი რომ მიუშვეს, თურმე, ამაზეც მადლობლები უნდა ვიყოთ. თქვენ წარმოიდგინეთ და, იმასაც არ თუ ვერ გვპასუხობენ, ნაკრებს დღეს სად, რომელ საათზე აქვს ვარჯიში დაგეგმილი. ღმერთმანი, სულ ნუ ამოიღებენ ხმას, ოღონდ ამათ რუსებს მოუგონ.

შეკრებიდან დღემდე ნაკრებიდან ერთი ამბავი შევიტყვეთ — შოტლანდიური „დანდის" მცველი ზურაბ ხიზანიშვილი დღეს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებს. შესაძლოა ისიც, რომ ზურამ მოედანზე ერთი ტაიმი დაჰყოს და ხვალ ეროვნული გუნდის სათადარიგოთა შორის მოხვდეს. ესაა და ეს.

ამასობაში კი ქართული პოლიცია დიდ სამზადისშია. გუშინ ეროვნულ სტადიონზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ზურაბ ჩხაიძემ, საგანგებოდ 12 ოქტომბრის მატჩის უსაფრთხოდ ჩატარებასთან დაკავშირებით კოლეგებთან თათბირი ჩაატარა. ერთხელაც აღინიშნა, რომ რუსეთის საფეხბურთო თუ სარაგბო ნაკრებების თბილისში სტუმრობისას დაცვის უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული. 12 და 13 ოქტომბერს ქალაქში წესრიგს დაახლოებით 3 ათასი პოლიციელი დაიცავს. თუმც კი საქართველო — რუსეთის მატჩის ბილეთების გაყიდვა ისეთივე ტემპით თუ გაგრძელდა, როგორც გუშინდლამდე, „ლოკომოტივი", ალბათ, სანახევროდაც არ შეივსება. 8-10 ათასი გულშემატკივრის დაშოშმინებას კი მღებრიშვილის ერთი ღონიერი რაზმიც შესძლებს.

**კობა ინასარიძე**



## საფრანგეთი
ლიგის თასი. 1 ეტაპი

მარტიგი 0:0 რეიმსი

## შვეიცარია
თასის პირველი ეტაპი

კარუჟი 1:2 ივერდონი



# ევროლიგა
პირველი ჯგუფური ეტაპი. 1 ტური. 9 ოქტომბერი

A ჯგუფი

ალბა 63:84 იფესი

ბენეტონი 94:73 პაო ორტეზი

ბარსელონა 94:75 ფორტიტუდო

ციბონა 85:71 აეკ

B ჯგუფი

ტაუ 85:79 მაკაბი

სიენა 81:74 ჟალგირისი



ვლადიმერ გუცაევი და ვალერი გაზაევი — ამ ორ სახელს ძალიან ბევრი აქვს საერთო. ერთად არ დაბადებულან, თორემ სიჭაბუკიდან მოყოლებული დღემდე ძმობას იფიცებენ. მეტოქენი იყვნენ მოედანზე, მეგობრები — ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო, თბილისის „დინამო" თუ ვლადიკავკაზის „ალანია", ერთმანეთის გვერდში ყოფნით თავს იმხნევებდნენ.

ახლა გაზაევი მოსკოვს დაბრუნდა, გუცაევი თბილისში დარჩა. გზა შორია, თუმც მეგობრობაა ძალიან ახლო. გუცაევმა სანაკრებო საქმე მოილია, გაზაევი ახლა იწყებს.

ხვალ საქართველოს ნაკრებს რუსებთან უპრინციპულესი მატჩი აქვს. სტუმრებს თბილისში სწორედ ვალერი გაზაევი ჩამოუძღვება, ჩამოუძღვება და დახვდება უამრავი ნაცნობ-ახლობელი, ტკბილ-მწარე მოგონება... დახვდება უახლოესი მეგობარი — ვლადიმერ გუცაევი. დახვდება „სარბიელიც" და თუ ამ ინტერვიუს წაკითხვა ვერ შეძლო, ალბათ, ეტყვიან, გეორგევიჩ, ნახე, გავრილოვიჩს გაუყიდიხარო.

მაშ, დავიწყოთ. საქართველო — რუსეთის წინ მეგობარი მეგობარზე, გუცაევი გაზაევზე. ალექსანდრე ჩივაძეს კოლეგის ნათქვამი ეგებ ოდნავ მაინც გამოადგეს



# გუცაევმა გაზაევი ჩივაძესთან ჩაუშვა

## აგრესიული ქართველი რუსთა მწვრთნელს გააცოფებს

**— ბატონო ვოვა, მოდით, პირდაპირ საქმით დავიწყოთ და გკითხავთ, გაზაევის, როგორც მწვრთნელის, მთავარი ღირსება რა არის?**

— პრინციპულობა. სწორედ ამის ხარჯზეა, გაზაევის გაწვრთნილები რომ ყოჩაღობენ და სადაც კი უმუშავია, ყველგან კარგი გუნდი გაუკეთებია. ის კლუბის ხელმძღვანელებისგან მოითხოვს მაქსიმალურ პირობებს და ფეხბურთელებს ორ ამდენს სთხოვს. იგი ვერ იტანს უწესრიგობას, ყველა ნიუანსს დიდ ყურადღებას აქცევს და მკაცრზე მკაცრია. მაგალითად, ერთხელ, „ალანიაში" ერთად მუშაობისას, გაზაევმა ვარჯიშიდან ფეხბურთელი იმიტომ გააგდო და დააჯარიმა, რომ წვივსაფარი არ ეკეთა. ვარჯიშის წინ მწვრთნელი ამბობს — დღეს, ვთქვათ, წითლები ჩავიცვათო. კარგი ბიჭი ხარ და სხვა ფერით დაენახვე გაზაევს, ამისთვის ეგებ გუნდიც კი დაგატოვებინოს. ის თავის პრინციპებს არასდროს ღალატობს. ვფიქრობ, მისი უმთავრესი ღირსებაც ესაა. ხომ ხედავთ, დღევანდელი ცსკა როგორი გუნდია. ეს მისი პრინციპების შედეგია.

**— პრინციპი პრინციპია, მაგრამ გადამეტებული ხომ არაფერი ვარგა...**

— როგორც პიროვნება, საკმაოდ გაწონასწორებულია. ის მაქსიმალისტია და ყველა შეგირდისგან თუ ხელმძღვანელისგან ამავეს ითხოვს. გაზაევი ამბიციური მწვრთნელია, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ის მუდამ თვალყურს ადევნებს ევროპულ ფეხბურთში მიმდინარე ცვლილებებს, ყოველთვის საქმის კურსშია. ხანდახან ავანტიურაზეც მიდის, მატჩისას მიღწეული არ აკმაყოფილებს და მეტს ითხოვს. ამიტომაც ისჯება ხოლმე ეს, ალბათ, ასაკის ბრალია. ასაკი რომ მიუკაკუნებს, უფრო დაიხვეწება.

**— არის აქტიური, შემტევი ფეხბურთის მიმდევარიც...**

— შეტევა მისი სტიქიაა, უამისოდ ფეხბურთი ვერ წარმოუდგენია. პირველი, რითაც მატჩისწინა დარიგებას იწყებს, ესაა — მეტოქეს ბურთს როგორც კი დაატოვებინებთ, ერთი პასი გვერდით და მეორე, უკვე მეტოქეს ნახევარზე, იქ უნდა იბრძოლოთ თავდამსხმელებმა და ჰავბეკებმა, მცველები კი წამშივე მოედნის ცენტრის ხაზთან განლაგდითო. გაზაევის გუნდები ბურთს არ აგორებენ, დაცვიდან პირდაპირ თავდასხმა იწყება.

**— რა სტილის ფეხბურთელებს ანიჭებს უპირატესობას?**

— ძირითადად ათლეტებს. მებრძოლ, ღონიერ ფეხბურთელებს ამჯობინებს, თუმც ერთი-ორი ტექნიკური და გონიერი ფეხბურთელი ყოველთვის ჰყავს. შემქმნელ ფეხბურთელს ძალისმიერთა შორის გამოუნახავს ხოლმე ადგილს. „ალანიაში" კასიმოვი და დემეტრაძე ჰყავდა, მოსკოვის „დინამოში" კობელევი. მოკლედ რომ ვთქვა, ინდივიდუალისტებით მისი გუნდები ყოველთვის ღარიბია.

**— გაზაევი მართლა ძალიან კარგად იცნობს საქართველოს ნაკრებს, ქართველ ფეხბურთელებს?**

— კარგად იცნობს, როგორ არა. ის ჩვენთან ერთად გაიზარდა. ჩვენებურ ფეხბურთზე ყოველთვის დიდი წარმოდგენისა იყო. ნახევარი სეზონი ხომ „დინამოშიც" ითამაშა. „ალანიაში" კი ოთხი-ხუთი ქართველი მუდმივად ჰყავდა. იცის ჩვენი ხასიათი და ჩინებული ფსიქოლოგიცაა. „ალანიაში" მისი მუშაობისას როგორი ვითარებაც იყო ქართველებსა და ოსებს შორის, კარგად მოგეხსენებათ. მან კი მოახერხა, რომ ფეხბურთელებს ერთმანეთი შეაყვარა. შელაპარაკება რაა, მის დროს ესეც არ ყოფილა.

გაზაევს საქართველოს ნაკრებთან თამაშისა ძალიან ეშინია. ყველაფერთან ერთად ისიც კარგად იცის, რომ ქართველებს ერთი, კონკრეტული მატჩი ისე შეუძლიათ ჩაატარონ, მეტოქეს თავბედი აწყევლინონ. დარწმუნებული ვარ, გაზაევი თბილისში ავანტიურაზე არ წავა, მაქსიმალურად ეცდება, გუნდმა მისი შეცდომით არ წააგოს. გამორიცხულია ისიც, გუნდს შემტევი ფეხბურთი ათამაშოს. მისი უპირველესი საზრუნავი ისაა, რომ თბილისში არ წააგოს.

**— როგორ ფიქრობთ, რას ეტყვის მწვრთნელი შეგირდებს თბილისური მატჩის წინ?**

— ერთი, რომ ქართველებს მაქსიმალურად შეუზღუდეთ სივრცე და ბურთის თავისუფლად მიღების საშუალება არ მისცეთო. მეტი სიხისტისკენ მოუწოდებს. მეორე, ფიზიკურად მასპინძლებს დავჯაბნით და ეცადეთ, სირბილში აიყოლიოთ, მატჩის ბოლომდე ვერ გაძლებენო. გაზაევს ბოლო 15-20 წუთის მეტი იმედი ექნება. მისი აქცენტი სწორედ ფიზიკურ მომზადებაზე, სისწრაფეზე იქნება გაკეთებული. და მესამე — სტანდარტული მდგომარეობები. გაზაევს გუნდში კარგი დამრტყმელები ჰყავს — გუსევი, სემაკი. ჰოდა, ეტყვის გუნდს, ეცადეთ ქართველები აიძულოთ, თავიანთი საჯარიმოს მახლობლად წესები დაარღვიონო. ალბათ, კიდევ ბევრს იტყვის მატჩამდე გაზაევი, თუმც მგონია, ყურადღებას ამ სამ ფაქტორზე გაამახვილებს.

**— ბოლო დროს როგორ ტაქტიკურ სქემას ამჯობინებს თქვენი მეგობარი?**

— სამი ცენტრალური მცველი, ხუთი ნახევარმცველი, რომელთაგან სამი საყრდენია, ორს კი მთელი ფლანგის კონტროლი ავალია და ორიც თავდამსხმელი, ამათგან ერთი შესაძლოა, ოდნავ უკან იყოს.

**— გამთამაშებლის გარეშე თამაშობს?**

— ერთი შეხედვით ასეა. ისე კი, ამ სამიდან ორმა პასიც იცის. ასეთ ფეხბურთელებს ის საგანგებოდ ეძებს და იპოვა კიდეც — ლოსკოვი, სემაკი, იანოვსკი. ისინი გამოკვეთილი გამთამაშებლები არ არიან, მაგრამ ამ ფუნქციის შესრულებაც შეუძლიათ.

**— გაზაევი ცხოვრებაში გაწონასწორებული პიროვნებააო, თქვით. თამაშისას როგორ, რით შეიძლება ის მოთმინებიდან გამოიყვანო? ფეხბურთელობისას საკმაოდ ემოციური კი იყო...**

— ინიციატივას თუ წაართმევ და აგრესიას დაანახვებ, შესაძლოა, გაზაევი მოედანზე თავად შევარდეს სათამაშოდ. ვერ იტანს მეტოქის აგრესიულობას, რაც გაზაევის შეცდომის დიდ წინაპირობას ქმნის, მერე იბნევა და შეძლოა, მეკარე თავდამსხმელით შეცვალოს ან პირიქით. ასეთ შემთხვევაში ის ემოციას ველარ იკავებს, ჭკუიდან გადადის.

**— საქართველოს კოზირი რა არის რუსებთან მატჩში?**

— კოზირი? კოზირი ის იქნება, ჩვენები თუ იომებენ და ორთაბრძოლებს არ მოერიდებიან. უმთავრესი კი პირველი გოლის ფაქტორია. თუ საქართველომ პირველმა გაიტანა, თანაც სწრაფი გოლი, გაზაევის ტაქტიკური მონახაზი, დარწმუნებული ვარ, თავდაყირა დადგება. მთავარია, ჩვენებმა დაცვითი ფეხბურთი არ ითამაშონ და მეტოქეს ინიციატივა არ დაუთმონ. თუ ასე მოხდა, საქართველოს ნაკრებში პანიკა გარდუვალი იქნება და მერე, რუსის ხასიათი ხომ იცით, თუ შეგატყობს, რომ გეშინია, აღარ დაგინდობს, ბოლომდე მოგაწვება. თუ ამ თამაშისას რაიმე დათმე, ჩათვალე, რომ მთლიანად თამაშიც დათმე. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთეს, რუსები ამათ ვერ გააჩერებენ.

**— და ბარემ ესეც ვთქვათ, ცხოვრებაში რა კაცია ვალერი გაზაევი?**

— ძალიან ღირსეული... ძალიან ღდებითი პიროვნებაა, კეთილი. ისეთს არაფერს გააკეთებს, კაცს ავნოს. ოჯახი არის მისთვის მზეც და მთავრეც, ოჯახი და ფეხბურთი. ან ერთი რომ არ ჰყავდეს, ან მეორე არ იყოს, არც თვითონ იქნებოდა. ის ორი ვაჟის მამაა, 20-22 წლის ბიჭები ჰყავს. ახლა კი ბავშვთა სახლიდან მან და მისმა მეუღლემ პატარა გოგონა იშვილეს და თან გადაყოლილნი არიან, სიგიჟემდე უყვართ. ის რვა თუ ცხრა წლისაა და ამჟამად მშობლებმა ესპანეთში, ჩოგბურთის სკოლაში გაუშვეს. გაზაევი ამბობს, დიდი ჩოგბურთელი გაიზრდება, ძალიან ნიჭიერიაო.

**ქობა ინასარიძე**

# საქართველო ღირსების ზღვარზე

## რუსებში ჩვენი დასჯის მოთხოვნაა

ევროპაში ყველაზე დიდი საფეხბურთო დაპირისპირება გერმანია — ინგლისია, მაგრამ ცოტა მარჯვნივ, აღმოსავლეთისკენ ასეთი ბევრია და ყველას ერთ ქვეყანასთან აქვს საომარი — რუსეთთან.

ჩვენც ჩვენი ანგარიშები გვაქვს ამ მოდგმის სლავებთან და ნუთუ ვინმე უნდა ცდილობდეს ამის მიჩუმათებას?!

ხვალ საქართველო — რუსეთის დაპირისპირების მორიგი ფურცელი გადაიშლება, რის შესახებაც მოსაზრებანი პოლიტიკოსებმაც გაგვიზიარეს. რესპონდენტებად ისინი ავირჩიეთ, ეროვნულ მოძრაობაში თავიანთი წილი აგური რომ დაუდეიათ.

**დავით ბერძენიშვილი, „ნაციონალური მოძრაობა"**

— ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, ალბათ, ოცნებობს, ეს მატჩი ნეტავ ფრედ დამთავრდესო. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კი კარგა ხანია, პრინციპული მატჩი არ მოუგია, ხოლო რუსეთთან თამაში, რა თქმა უნდა, ძალიან განსაკუთრებულია. მატჩი ერთობ დაძაბული უნდა იყოს. მშვიდად აბა, როგორ ვიქნებით, ესკალაცია ძალიან მაღალია — თამაშს ხომ ნაციონალური დატვირთვა აქვს.

— საქართველო — რუსეთის მატჩი რომ პოლიტიკური მნიშვნელობისაა, ცხადზე უცხადესია. რუსეთი ყოფილი მეტროპოლიაა, ჩვენ მისი ყოფილი კოლონია და არის ხალხის მოთხოვნა, რომ რუსეთს წინააღმდეგობა გავუწიოთ.

— ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვართ. საქართველოს ნაკრები ერთი შეხედვით, რუსეთისაზე სუსტია, მაგრამ სტადიონზე შექმნილი ატმოსფერო მხოლოდ მე-12 ფეხბურთელი კი არ უნდა იყოს ჩვენი გუნდისთვის, არამედ გაცილებით მეტი. არ მინდა წარმოვიდგინო, რომ პოლიტიკური ასპექტი ჩვენ ბიჭებს დათრგუნავს. პირიქით, მატჩის პოლიტიკური დატვირთვა მათ შემართებას შემატებს.

— რუსეთში ალბათ იგივე მასშტაბებში არ განიხილავენ ამ შეხვედრას, მაგრამ ინტერესი იქაც განსაკუთრებული იქნება. რუსეთში ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენ მათ რაღაც დავუშავეთ — ეს, ალბათ, ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია. რუსეთში არის ისეთი ხალხიც, რომლებიც საქართველოს მტრად არ მიიჩნევენ.

— 1986 წლის ფინალის წინ მარადონამ თქვა, გერმანია დალაგებული ქვეყანაა და გამარჯვება არგენტინელი ხალხისთვის უფრო ფასეული იქნებაო. მსგავსი ვითარებაა ახლაც ჩვენში. მართალია, რუსეთი დღეს ზესახელმწიფო არაა, მაგრამ კვლავაც დიდი სახელმწიფოა, ჩვენ კი ფეხზე დგომა გვიჭირს და ამიტომაც, გამარჯვება ქართველ ხალხს უფრო სჭირდება.



— საერთო ჯამში, რუსებში ჩვენი დასჯის მოთხოვნაა, საქართველო კი ეროვნული ნაკრებისგან რუსებისთვის კონკურენციის გაწევას და გამარჯვებას ითხოვს.

**ზვიად ძიძიგური, „ნაციონალური მოძრაობა"**

— „ნაციონალური მოძრაობა" საგანგებოდ ემზადება ამ თამაშისთვის. დაახლოებით 200 კაცი შევიკრიბებით და დროშებით წავალთ სტადიონზე, რათა, რაც შეიძლება მხურვალედ დავუჭიროთ მხარი საქართველოს ნაკრებს. აშკარაა, რომ ეს მხოლოდ სპორტული სანახაობა არ იქნება — ეს ეროვნული ღირსების საკითხია.

— რუსებს ერთხელ მაინც ხომ უნდა ვაგებინოთ პასუხი დაბომბვებზე, ორმაგი მოქალაქეობის დაწესებაზე, ენერგეტიკის სფეროში ჩვენზე ბატონობაზე და იმაზე, რომ როგორც კოლონია, ისე გვიყურებენ.

— ჩვენი ნაკრებისგან ნაწყენი ყველა წყენა უნდა დავივიწყოთ და ყველანაირად მხარი უნდა დავუჭიროთ ეროვნულ გუნდს. ჩვენმა ფეხბურთელებმაც კარგად უნდა გაისიგრძეგანონ ვითარება.

— ეს თავმოყვარეობის საკითხიც არის. ადრე, რომ „დინამო" რუსულ გუნდებს ხვდებოდა, მაშინაც არ იყო მხოლოდ სპორტი, მაშინაც პოლიტიკური დატვირთვა ახლდა თან.

— ვინც 12 ოქტომბრის მატჩისთვის პოლიტიკური ასპექტის უგულებელყოფას ცდილობს, ეს ის ხალხია, რომელიც მიესალმება დაბომბვებს, არასიმეტრიულ სავიზო რეჟიმს, ანუ მეხუთე კოლონის წარმომადგენლები არიან.

**დავით თაბართქილაძე**

# გადმევილის თავგადასავალი

## რეზო არველაძემ ჩივაძე აღაფრთოვანა

**ცოტა ხნის წინ,** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გამოსული ხმები, ეროვნულ გუნდში გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „კიოლნის" მეკარის, ალექსანდერ ბადეს მოწვევასთან დაკავშირებით, ბევრმა ალბათ არასერიოზულად აღიქვა. საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის ჩამოყვანაზე ადრეც არაერთხელ თქმულა, თუმცა ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა. ამჟამად კი საქმე უფრო სერიოზულად რომ არის, ოთხშაბათს, გერმანულ ყოველკვირეულ ჟურნალ „შპორტ ბილდში" დაბეჭდილი სტატიიდანაც ჩანს. ამ ამბავს წინა კვირაში გაზეთი „ბილდიც" გამოეხმაურა, თუმცა მაშინ ერთაბზაციან ინფორმაციაში მხოლოდ ის ეწერა, საქართველოს ბადე უნდა, მეკარეს კი გერმანული პასპორტი არ ეთმობაო. ამ ორი წინადადებით დაწყებული ინფორმაცია კი ოთხშაბათს „შპორტ ბილდმა" მოზრდილ სტატიად აქცია, რომელსაც უცვლელი სახით გთავაზობთ:

თავისი საფეხბურთო კარიერის მრავალი წელი ალექსანდერ ბადემ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ახლა, 32 წლის ასაკში კი პირველი შანსი მიეცა. მიმდინარე სეზონში „კიოლნის" ძირითად მეკარედ იქცა, ამასთან ერთად, ეტყობა სანაკრებო დონეზეც მოუწევს თავის გამოჩენა, ოღონდ არა გერმანიის, არამედ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში.

იგი ამ ქვეყანას საერთოდ არ იცნობს, არც ქართველი ნათესავები ჰყავს, ბადე კი ამბობს: „ეს სულაც არ გახლავთ ხუმრობა. მე სერიოზული წინადადება მივიღე საქართველოდან. მათ ნაკრებს კარის დარაჯის პრობლემა აწუხებს, ამიტომაც კარგ მეკარეს ეძებენ. როგორც ჩანს, თავად საქართველოში არც თუ ისე დიდი არჩევანია."

მაინც საინტერესოა, რომელმა გზამ ჩაიყვანა ქართველები კიოლნში და ბადესთან? 1,96 მეტრიანი ახმახი მეკარე ამ კითხვაზე გვპასუხობს: „ქართველები ჩემი ყოფილი კიოლნელი თანაგუნდელის, რეზო არველაძის მეშვეობით დამიკავშირდნენ. სწორედ მან შესთავაზა ჩემი თავი ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ ალექსანდრე ჩივაძეს."

ჩივაძე ამ იდეით აღფრთოვანებული დარჩენილა. უნდა ითქვას, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გერმანიის ხშირი სტუმარია, რადგან აქ მისი გუნდის ბევრი ფეხბურთელი თამაშობს. მათი უმრავლესობა „ფრაიბურგის" ღირსებას იცავს. ცქიტიშვილი, იაშვილი თუ კობიაშვილი — სამივენი ქართველები არიან, მათ მალე, ალბათ, ბადევილიც შეუერთდება.

თუმცა ბადეს გერმანიის მოქალაქეობაზე უარის თქმა სულაც არ უნდა.

„მოქალაქეობას ასეთი თავგადასავლის გამო არავითარ შემხვევაში არ შევიცვლი. დავთანხმდები, თუ ქართველები შეძლებენ და ორმაგ მოქალაქეობას გამიხერხებენ."

სწორედ ამისთვის ზრუნავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. დრო კი არ ითმენს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ქართველებმა მარცხით დაიწყეს, 1:4 შვეიცარიასთან. მათი სხვა მეტოქეები მე-10 შესარჩევ ჯგუფში ირლანდია, ალბანეთი და რუსეთი არიან.

ენის პრობლემა ორი შვილის მამას, ალექსანდერ ბადეს არ აწუხებს. ჯერ ერთი, მინდორზე საკმარისზე მეტნი იქნებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებმაც გერმანული ენა საკმარისად იციან. მეორეს მხრივ კი, მეკარეს ბევრი ტაქტიკური დარიგება არ სჭირდება, მისი დავალება გასაგებია, კარი მშრალად უნდა შეინახოს.

და რას ამბობს ამასთან დაკავშირებით „კიოლნის" თავკაცი ფრიდჰელმ ფუნკელი, რომელიც ბადეს ენდო და ძირითად მეკარედ განამწესა?

„გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ მან უნდა მიიღოს. მე კი მართლაც სულმოუთქმელად ველი, როგორ დასრულდება ეს ისტორია" — განაცხადა მწვრთნელმა. ასევე სულმოუთქმელია ალექს ბადევილიც.

მე კი დავძენ, რომ არა მგონია, საქართველოში კონსტიტუციის მორიგი მუხლის დარღვევა პრობლემა გახდეს და ბადესთვის ორმაგი მოქალაქეობის მიცემა გაჭირდეს (ბოლო-ბოლო, მიზეზი საპატიოა — საქმეს და ქვეყანას სჭირდება!). ამიტომაც ურიგო არ იქნება, ფეხბურთის ფედერაცია მეორე ბუნდესლიგასა თუ რეგიონალლიგაში კიდევ რამდენიმე თავგადასავლის მაძებარ მინდვრის მოთამაშესაც მოძებნის.

**მანო ოქრობირიძე ბერლინიდან**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი. (ახალგაზრდულები)

## საქართველო — რუსეთი

თბილისი. ეროვნული. 11 ოქტომბერი. 16 საათი



[illegible] ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დღევანდელი მატჩის წინ

# როგორ ხასიათზე შევა სადალაქოში კოპალეიშვილი?

## ასათიანობას საჯაია გასწევს

**გუშინ,** „ეროვნულზე" ბოლო ვარჯიშით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა წინასარუსეთო მზადება დაასრულა. დღეს, ოთხი საათიდან ჩვენებურები თითქმის ერთკვირიანი შეკრების ნაყოფს მოიმკიან. „ეროვნულზე" გამოჩნდება, ვინ უფრო ნაყოფიერად იშრომა.

წვრთნის დაწყებამდე ვახტანგ კოპალეიშვილმა რამდენიმე წუთით ჟურნალისტებისთვის მოიცალა. „ძლიერი გუნდი მოჰყავთ რუსებს, მაგრამ საშიში მაინც არაფერია. ჩვენ ჩვენი კოზირები უნდა გამოვიყენოთ, სისწრაფისა და ტექნიკის ხარჯზე მეტოქეს საკუთარი თამაში თავს მოვახვიოთ. რუსთა დამრიგებელი ანდრეი ჩერნიშოვი, ალბათ, გამარჯვებულ შემადგენლობას ენდობა. მართალია, რამდენიმე იძულებითი ცვლილება [illegible] დაცვის ხაზში ტრავმირებული [illegible] გაზავს დაუთმო, მაგრამ ძირითადი ბირთვი მაინც ის იქნება, ვინც ირლანდიასთან გაიმარჯვა.

სავარაუდოდ, ჩერნიშოვი 4-4-2 განლაგებას აირჩევს. რას დავუპირისპირებ მოწინააღმდეგე კოლეგას, ჯერ ვერ გეტყვით, ის კი ნაღდია, რომ საქართველოც ორი ფორვარდით შეუტევს" — კოპალეიშვილს გუშინ უიმედობა არ ეტყობოდა, ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშზე ხალისიანი და ენერგიული იყო. ნავარჯიშევს კოპალეიშვილმა „ეროვნულზე" დაიცადა და რუსთა წვრთნას დაესწრო, იქიდან კი საკმაოდ შეფიქრიანებული გაეშურა შეგირდებისკენ.

ახალგაზრდულმა გუშინ საათი და თხუთმეტი წუთი ივარჯიშა. ინტენსიურად იშრომეს ბიჭებმა. მწვრთნელები კი ყველა საფეხბურთო ელემენტის სისწრაფეში შესრულებას მოითხოვდნენ. ესენიც ინდომებდნენ, მაგრამ ყველაფერი ზუსტად არ გამოსდიოდათ.

ქართველთა 19-კაციან შემადგენლობაში ყველა ჯანმრთელადაა. მწვრთნელებს ჯერაც ეიმედებათ, რომ ეროვნული ნაკრებიდან ზურაბ ხიზანიშვილს დაუთმობენ. ეს ამბავი დღეს დილისთვის გადაწყდება და ძირითად თერთმეტეულსაც მაშინ დაასახელებს კოპალეიშვილი.

მალხაზ ასათიანის არყოფნაში გუნდის კაპიტნის სამკლავურს მოსკოვის ტორპედოელ ედიკ საჯაიას შეაბამენ, ვისაც ეს პატივი ერთხელ, „შევარდენზე", 2001 წლის 14 თებერვალს უკრაინელ თანატოლებთან 1:0 მოგებული მატჩისას ერგო.

წვრთნის დასასრულს წინასამატჩო მცირე კომენტარი საჯაიამაც გააკეთა: „მოწინააღმდეგე გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის შესაძლებლობები ჩემთვის ნაწილობრივ ცნობილია. სერიოზულ, შეთამაშებულ გუნდთან გვიწევს ჭიდილი, მაგრამ უიმედოდ არც ჩვენ ვართ, საქართველოს რუსეთის დამარცხება შეუძლია."

ვახტანგ კოპალეიშვილი კი, ხმა დაირხა, მეტოქის წაქცევამდე წვერის გაპარსვას არ აპირებსო. როცა ვკითხეთ, გაეღიმა, გნებავთ, ასე იყოს, მაგრამ მე ყოველი შეკრებისას ამგვარად ვექცევა, უბრალოდ, კარგად მაქვს დაცდილიო.

**გამუკა ძგანტალიანი**

# ნევიო სკალა საქმის კაცია, ციმაკურიძე შახტარის მომავალი

ერთი წლის წინ, საფეხბურთო საქართველოში გიორგი ციმაკურიძეს თითქმის არავინ იცნობდა. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი თბილისის ერთ ჩვეულებრივ საფეხბურთო სკოლაში, „21-ე საუკუნეში" აგორებდა ბურთს.

დღეს ის ყოფილი საბჭოეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ვარჯიშობს. „შახტარი" სუპერკლუბი არ არის, მაგრამ უკრაინაში კიევის „დინამოს" ჰეგემონია კი დაამხო.

ციმაკურიძეს სიმაღლე არ დაეწუნება, ტანხმელია და სისწრაფითაც გამოირჩევა. ვახტანგ კოპალეიშვილის შეფასებით, საზრიანი, თანამედროვე ტიპის ნახევარმცველია და შრომას თუ არ დაიზარებს, მისგან სოლიდური შუახაზელი დადგება.

გიორგის გუშინ ახალგაზრდული ნაკრების ბოლო ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ. მოგვიყვა, რა გზა გაიარა „შახტარამდე", როგორი პირობებია უკრაინაში და რისი უნდა გვეიმედებოდეს რუსებთან მატჩში...

— „21-ე საუკუნიდან" 6 თვის წინ წავედი. აქ კონტრაქტი არავისთან მაკავშირებდა და უკრაინაშიც თავისუფლად გადავედი. იქაური დაბალი ლიგის, ალჩევსკის „სტალში" რამდენიმე თვე ვითამაშე, მერე ნევიო სკალას რეკომენდაციით „შახტარმა" მიმიწვია და დღემდე დონეცკში ვარ.

**— ახალ კლუბთან რამდენწლიანი კონტრაქტი გაკავშირებს?**

— კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. ძირითად გუნდში მავარჯიშებენ და ფარმკლუბში ვთამაშობ. „შახტარში" მხოლოდ ორი სათასო მატჩი ვითამაშე. როგორც მითხრეს, კონტრაქტზე 18 ნოემბერს დამელაპარაკებიან.

**— დონეცკში არსებულ სავარჯიშო და სათამაშო პირობებზე დღეს ბევრი აღტაცებით ლაპარაკობს.**

— საუცხოო ბაზა, კარგი სტადიონი და ჩინებული პირობები. მოკლედ, პრობლემა არ არის. მიდი და თუ შეგიძლია, ითამაშე. სწორედ ამან მიიყვანა „შახტარი" ჩემპიონობამდე და ჩემპიონთა ლიგამდე. არ დავივიწყოთ მწვრთნელის ფაქტორი, ნევიო სკალამ იცოდა თავისი საქმე.

**— საქმე ცხადია, იცის, მაგრამ წლეულს ჯერ ლიგაში ვერ შეაღწია, მერე უეფას თასზეც ვერაფერი გააწყო და „შახტარიდან" დაითხოვეს.**

— გუნდი თითქოს სოლიდური მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, ბრწყინვალედაც მოემზადნენ, მაგრამ იმ კონკრეტულ პერიოდში რაღაც აირია და ამან შედეგზეც გავლენა იქონია. სკალა კი არავის გაუშვია, ავსტრიელებთან მარცხის შემდეგ თავად ისურვა წასვლა.

**— ერთხანს დონეცკიდან ცნობები მოდიოდა, „შახტარში" გერმანელ კრისტოფ დაუმს ნიშნავენო.**

— იყო მასზე საუბარი, თითქოს საქმე ადგილიდანაც დაიძრა, მაგრამ ბოლოს დონეცკში ჩამოსვლა თავად დაუმმა იუარა. სადღეისოდ მწვრთნელი იარამჩენკოა. რა იქნება მერე, მხოლოდ კლუბის პრეზიდენტმა ახმედოვმა და მისმა უახლოესმა გარემოცვამ უწყის.

**— იარამჩენკო უკვე დიდი ხანია, „შახტარში" მუშაობს. ქართველები გულზე მაინცდამაინც არ ეხატება. მიხეილ ფოცხვერიას არეული საფეხბურთო კარიერა გარკვეულწილად მისი დამსახურებაცაა. შენ როგორი თვალით გიყურებს?**

— არ ვიცი, რა გითხრათ, ჯერ ცუდი არაფერი მიგრძვნია.

**— შენი აზრით, რითი განსხვავდებიან სკალა და იარამჩენკო?**

— მე განსხვავებას ვერ ვამჩნევ. გუნდში თითქმის არაფერი შეცვლილა. „შახტარი" იგივე ტაქტიკით, კონტრშეტევაზე თამაშობს და დავალებასაც სკალას დროინდელი ფეხბურთელები ასრულებენ. სხვა გამორჩეულ თვისებებს რომ დავკვირვებოდი, ამისთვის დიდი დრო არც მქონია, იარამჩენკო ხომ სულ ახლახან დანიშნეს.

**— კლუბის თავკაცთან შენს მომავალზე თუ გისაუბრია?**

— ახმედოვს კი შევხვდი ერთხელ, მაგრამ კონკრეტული არაფერი უთქვამს. უკრაინაში გამორჩეული ბიზნესმენია, თუ ფეხბურთელი გუნდს სჭირდება, ფულს არ დაინანებს და გადაიბირებს. ფეხბურთზეც უზომოდ გახლავთ შეყვარებული და რასაც აკეთებს, იმის სანაცვლოდ შედეგსაც მოითხოვს.

**— რომელი მოთამაშეა „შახტარში" გამორჩეული, ვის სიტყვას აქვს მეტი ფასი?**

— ვორობეი და ტიმოშჩიუკი მართლაც რომ გამორჩეული ფეხბურთელები არიან. გუნდში ლეგიონერებიანად ბევრი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ლიდერობას ვორობეი და ტიმოშჩიუკი ახერხებენ.

**— წინა ვარჯიშებზე ოდნავ კოჭლობდი...**

— მუხლი მტკიოდა, დონეცკში ვარჯიშზე დავიშავე, მაგრამ, მგონი, ახლა კარგად ვარ, ფეხი აღარ მაწუხებს.

**— რუს თანატოლებთან როგორი შედეგის გეიმედება?**

— ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავალთ. ვნახოთ, თამაში როგორ აგვეწყობა. მეტოქე კია ძლიერი, მაგრამ დაუმარცხებელი ნამდვილად არ არის. რუსებსაც ექნებათ თავიანთი სუსტი წერტილები და ნაპრალები დაცვაში. ვეცდებით, მათი შეცდომები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**გამუკა ძგანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი 14
[illegible] ლიგა
პირველი წრე

### ცენტრალური

მეხუთე ტური

10 ოქტომბერი

ვიტ ჯორჯია 2 — მესხეთი 1:0; ვარძია — ცხუმი 1:1; ოლიმპი — ყაზბეგი 4:1; თორი — ცხინვალი 2 5:0; დილა 2 — ვაკე 91 0:4; ფეხბურთის აკადემია — მცხეთა 2 0:2; ლიახვი — პრემა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| მცხეთა 2 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ვაკე 91 | 4 | 3 | 0 | 1 | 13:3 | 9 |
| თორი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:3 | 8 |
| მესხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ფეხბ. აკადემია | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ლიახვი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:12 | 7 |
| ოლიმპი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ცხინვალი 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:12 | 6 |
| ყაზბეგი | 4 | 1 | 2 | 1 | 10:6 | 5 |
| პრემა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:8 | 4 |
| ცხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ვარძია | 5 | 0 | 2 | 3 | 3:16 | 2 |
| დილა 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:20 | 0 |

### დასავლეთი

მეექვსე ტური

10 ოქტომბერი

შევარდენი — ინტერი 1:3; სულორი — ოდიში 2002 3:3; სქური — დინამო (სოხ.) 4:2; სალხინო — სსუ 2:2; კოლხეთი 2 — ბათუმი 2 1:3; ლუკა — მალაროელი 2:1; დინამო (ზუგ.) — მეშახტე 0:1; ჩიხურა — რაჭა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 6 | 6 | 0 | 0 | 20:3 | 18 |
| მეშახტე | 6 | 5 | 0 | 1 | 8:5 | 15 |
| ოდიში 2002 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:7 | 14 |
| ლუკა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| მალაროელი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| სქური | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 10 |
| ბათუმი 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| სულორი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 8 |
| რაჭა | 5 | 2 | 0 | 3 | 11:7 | 6 |
| დინამო (ზუგ.) | 6 | 2 | 0 | 4 | 8:15 | 6 |
| სალხინო | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| შევარდენი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:13 | 3 |
| სსუ | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| კოლხეთი 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |
| დინამო (სოხ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 4:10 | 0 |



# ახალგაზრდა რუსეთი

*თბილისში 2 საათზე ჩამოფრენილი რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები სასტუმრო „ვერე პალასში“ დაბინავდა. ლამის ორმეტრიანმა, წარმოსადეგმა ანდრეი ჩერნიშოვმა საღამოს 6 საათზე „ეროვნულ“ სტადიონზე შეყარა სამწყსო. მთავარი მწვრთნელივით ახოვანი, ჯანიანი ბიჭები არიან რუსის ახალგაზრდები.*

*„ეროვნულზე“ რუსების ავტობუსი პოლიციის ორმა მანქანამ მოაცილა. ფეხბურთელები ავტობუსიდან რომ გადმოვიდნენ, სავარჯიშო ფორმები ეცვათ, სტადიონის გასახდელი აღარ დასჭირვებიათ, პირდაპირ მოედანს მიაშურეს და მთავარი მწვრთნელის მითითების მოლოდინში მორჩილად გამწკრივდნენ ხაზზე*

# ჩერნიშოვის რუსეთი ჩუმად და სწრაფად დარბის

## მიქაძემ საქართველო ვიდეოფირით გაიცნო



ანდრეი ჩერნიშოვმა შეგირდები გვარიანად დასაქმა

**დასაწყისში** ჩერნიშოვმა გუნდი ძუნძულით არბენინა წრეზე, მერე კი ოცდაორივე ფეხბურთელი ბურთებს შეასია. მოედნის ნახევარზე რუსებმა ცეცხლი დაანთეს ბურთიანად სწრაფი სირბილით. ჩერნიშოვი აქა-იქ მითითებებსაც აძლევდა შეგირდებს, ძირითადად სისწრაფის მომატებას სთხოვდა ფეხბურთელებს, თუმცა სტუმრები ისედაც ისე სწრაფად მოძრაობდნენ, სარბენ ბილიკებზე მოტრიალე ქართველი ჟურნალისტები და სფფ-ის მოხელენი გაოცებას ვერ ფარავდნენ.

მეტოქე გუშინ ქართველი ახალგაზრდების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა დაზვერა, რუსებს მისი თანაშემწე თენგიზ კაცია აკვირდებოდა. და, რაღა გასაკვირია, რომ ჩაფიქრებულნი წავიდნენ „ეროვნულიდან“ ქართველი მწვრთნელები.

სტუმართა ვარჯიშს მივყვეთ. მეცადინეობიდან 20 წუთის თავზე ჩერნიშოვმა შეგირდებს შორეული პასების გაკეთება დაავალა. რუსებმა ჯერ ადგილიდან აწოდეს ბურთი ერთმანეთს, შემდეგ კი იგივე მოძრაობაში გააკეთეს, თანაც ისე, რომ დინამიკა არ დაურღვევიათ. სწრაფად და, რაც მთავარია, ზუსტად ირჯებოდნენ სტუმრები. ამ დროს იყო, კუნთი რომ დაეჭიმა ალან კუსოვს. გიორგი დემეტრაძის და მიხეილ აშვეთიას თანაგუნდელს ექიმის ჩარევა დასჭირდა, კუსოვს ფეხი გაუყინეს და ალანიელი ისევ დაუბრუნდა საწვრთნელ პროცესს. ცოტა ხანში ევსიკოვის ნაცვლად რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მოხვედრილი, წარმოშობით ქუთაისელი გიორგი მიქაძეც დაშავდა. მან მუხლი დაიზიანა. მიქაძესაც შემოუხვივნენ ექიმები. ქართველმა ერთხანს კი იზილა ხელით მტკივანი მუხლი, მაგრამ მერე მანაც გააგრძელა ვარჯიში და მოედნის ნახევარზე გაჩაღებული ორკარას დროს ერთი ისეთი დაარტყა 25-ოდე მეტრიდან, ლამის ბურთიანად კარში შეაგდო მანდრიკინი. ორკარას დროს ჩერნიშოვმა სათადარიგოები, რომელთა შორის მიქაძეც იყო, ძირითადებს დაუპირისპირა. ორი ხუთწუთიანი ტაიმისას ცხენებივით იჭენავეს სტუმრებმა, მოკლე თუ ჩახვეულ-ჩაკიდული პასებით ერთმანეთსაც ოფლი აღინეს და მეკარეებიც გვარიანად მოქანცეს. ვარჯიშისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სათადარიგო მეკარე ალანიელი გაბულოვი არაფრით ჩამოუვარდება მანდრიკინს, ხაზზეც ჩინებულად გაისარჯა და გამოსვლებზეც იყოჩაღა. საჯარიმო დარტყმებისას, ვარჯიშის ბოლოს შეგირდებს რომ შეასრულებინა ჩერნიშოვმა, გაბულოვმა მანდრიკინზე ორჯერ ნაკლები გოლი გაუშვა. თავად მანდრიკინს, მიქაძემ ათი წუთის წინანდელი გაუმეორა და საჯარიმოს ხაზიდან ისეთი დაუქუხა, სხტად დატოვა მეკარე. მიქაძეს გამორჩეულად ძლიერი დარტყმა აქვს და, როგორც ჩანს, ტექნიკასთანაც არ უნდა იყოს მწყრალად.

ვარჯიშის დაწყებიდან საათის თავზე ჩერნიშოვმა ისევ წრეზე აძუნძულა შეგირდები და ქართველებთან მატჩისწინა გენერალური წვრთნაც ამით ჩაამთავრეს რუსებმა. მოედნიდან სარბენ ბილიკებზე გამოსულ ფეხბურთელებს ნატურალური წვენები დაახვედრეს ერთჯერადი ჭიქებით და ცოტა ხანში ისინი წყნარად, ერთმანეთთან ყოველგვარი გადალაპარაკების გარეშე ავტობუსში ავიდნენ.

ნავარჯიშევს რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების ახალგაზრდა თავკაც **ანდრეი ჩერნიშოვს**, ფეხბურთელებს **გიორგი მიქაძეს** და **ალან კუსოვს** გავესაუბრეთ.

— თბილისში ჩამოსვლით ერთობ გახარებული ვარ. აქ ბევრი მეგობარი მყავს. ისინი ფეხბურთმა შემძინა. თემურ ქეცბაია და კახა ცხადაძე ჩემი ძმაკაცები არიან. სამწუხაროდ, თემურს ვერ ვნახავ, რადგან იგი კვიპროსზეა. კახასთან შეხვედრას კი მოუთმენლად ველი, ბევრი რამ გვაქვს სალაპარაკო. თბილისში ჩამოსვლა ყოველთვის მიყვარდა და საერთოდ, მე მგონი, არაფერი გვაქვს გასაყოფი ქართველებს და რუსებს. რუსთა და ქართველთა საფეხბურთო დაპირისპირებას ბევრი პოლიტიკას უკავშირებს, მაგრამ მე ვცდილობ, არ ვიფიქრო ამაზე, ეს ხომ მხოლოდ ფეხბურთია.

**— ბოლო მომენტში ახალგაზრდულ ნაკრებს ევსიკოვი და არშავინი გამოაკლდნენ, ამან ხომ არ არია თქვენი გეგმები?**

— სულაც არა, რადგან თავიდანვე შეგუებული ვიყავი, რომ არშავინიც და ევსიკოვიც გაზაფხულის დასჭირდებოდა ეროვნულ ნაკრებში. ამიტომ მათზე არც ამიწყვია მოსამზადებელი ეტაპი. ჩემთვის უფრო დიდი დანაკლისი ის არის, რომ ტრავმის გამო სამარელ' სერგეი ვინოგრადოვს ვერ ვუხმე ეს ფეხბურთელი დიდად წაგვადგებოდა.

**— გუნდის მომზადებით კმაყოფილი ხართ?**

— სეზონის ბოლოა და ფეხბურთელები გადაღლილები არიან. მიუხედავად ამისა, იმდენი შევძელით, რომ მათი ფიზიკური კონდიციები ჩემთვის ამ ეტაპზეც კი დამაკმაყოფილებელია.

**— ნაკრებში ისეთი ფეხბურთელებიც გყავთ, რომლებიც თავისი გუნდების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან...**

— გამიზნული პოლიტიკაა, აკი გითხარით, სეზონის მიწურულს მოთამაშეთა ფიზიკური კონდიციები კლებულობს, ამ ფონზე ნაკრებში ჩემს მიერ მიწვეული სათადარიგოები შედარებით დასვენებულები არიან. ამიტომ ერთგვარი სინთეზი მოვახდინეთ, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ გუნდს 90 წუთის განმავლობაში ფიზიკური ჩავარდნა არ ჰქონდეს.

**— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— მეტოქეზე ინფორმაციის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. სხვადასხვა წყაროებით ბევრი რამ ვიცით ქართველებზე. ამ ინფორმაციის ანალიზიც გავაკეთეთ და მწვრთნელებს ჩვენი დასკვნები გვაქვს, როგორ ვიმუშავეთ, ეს მოედანზე გამოჩნდება.

**— მიქაძეზე რას იტყვით, როგორი ფეხბურთელია?**

— პერსპექტიულია, ძალიან ნიჭიერი, კარგი მომავალი აქვს.

**— ითამაშებს ხვალ?**

— ვერ გეტყვით, შემადგენლობა ჯერ არ დამისახელებია.

**— ფრე თუ დაგაკმაყოფილებთ ქართველებთან?**

— არა, აქ მოსაგებად ვართ ჩამოსული და აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ სამი ქულა.

ეს თქვა ჩერნიშოვმა, სახელდახელო ფოტო გადაიღო დიდი ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის შვილთან და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

***გიორგი მიქაძე***

— მიხარია, რომ საქართველოში ჩამოვედი. ეს ხომ ჩემი სამშობლოა. დარწმუნებული ვარ, ხვალ ქომაგებს კარგს ფეხბურთს ვაჩვენებთ.

**— დღეს ქართველებს ეთამაშებით, რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

— ფსიქოლოგიურად სულაც არ მიჭირს. მართალია, ქართველების წინააღმდეგ მიწევს თამაში, მაგრამ მე ხომ პროფესიონალი ვარ. ასე რომ, ეს პრობლემა არ არის. ჩვეულად გავალ მოედანზე და რაც შემიძლია ვითამაშებ, თუმცა ისიც საკითხავია, საერთოდ მომიწევს თამაში თუ არა. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— საქართველოს ნაკრებში თამაშზე არასოდეს გიფიქრიათ?**

— საქართველოს ნაკრებში თამაში კი მინდოდა, მაგრამ... ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანაა. უბრალოდ, ძალიან ადრე მიმიწვიეს რუსეთის ნაკრებში [illegible] უარი არ მითქვამს. [illegible] ერას ასე წაადგება, თუმცა ქართველებს ყოველთვის ვუქომაგებ. არ მავიწყდება, რომ აქ ვარ დაბადებული და გაზრდილი.

**— ქართველ ფეხბურთელებზე რა იცით?**

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. ევროპაში მოთამაშეებზე კი ვიცი ცოტა რამ, მაგრამ მათ არ ვიცნობ. ერთადერთი დავით ხმელიძეა, რომელთანაც ვმეგობრობ. ადრე ერთად ვთამაშობდით.

**— დღევანდელ მეტოქეზე რას იტყვით?**

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზეც სრულყოფილი წარმოდგენა არ მაქვს. მხოლოდ რამდენიმე მომენტი ვნახეთ ვიდეოფირზე. ვფიქრობ, საკმაოდ მძიმე ბრძოლა გველის. თანაც ქართველები, ტრადიციულად, ტექნიკურები არიან და, ალბათ, გაგვიჭირდება, თუმცა დღევანდელ ფეხბურთში მარტო ტექნიკით შორს ვერ წახვალ.

**— დღევანდელი მატჩის თქვენეული პროგნოზი...**

— შანსებს თანაბრად ვაფასებ. მეტოქის წისქვილზე ისიც ასხამს წყალს, რომ შინ თამაშობს და საკუთარი გულშემატკივრები გაამხნევებენ, მაგრამ უპირატესობას ერთ მხარესაც ვერ მივცემ.

***ალან კუსოვი***

— რთული მატჩი გველის. საბრძოლოდ მზად ვართ და ვეცდებით, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ, თუმცა მეტოქეც არ გვყავს სუსტი. ქართველები ტექნიკურები ხართ და ეს დამატებით სირთულეებს შეგვიქმნის, მაგრამ იმედი მაქვს, ამ კოზირის გამოყენების საშუალებას არ მივცემთ.

**— ქართველებზე წარმოდგენა, ალბათ გაქვთ. მით უმეტეს, ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თამაშობთ...**

— რა თქმა უნდა, დემეტრაძე, აშვეთია ჩემი თანაგუნდელები არიან. ისინი გუნდის წამყვანი ფეხბურთელები არიან და მათი თამაშითაც ვიცი, რომ გაგვიჭირდება. დემესნაირი ტექნიკური რუსეთში ხომ ბევრი არაა. ომარ თეთრაძეც არ მავიწყდება. ისიც ქართველი არ არის? კიდევ გია იმედაძე, რომელიც ადრე თამაშობდა ჩვენთან.

**— შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— ალბათ, თანაბრად. ორივე გუნდს შეუძლია მოიგოს. ამას უფრო კარგად თამაში გამოაჩენს. იმედი მაქვს, გულშემატკივარი ლამაზ ფეხბურთს ნახავს.

საქართველო — რუსეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი დღეს „ეროვნულზე“ 16 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი 5 ლარია.

**ბაატა ძგანტალიანი**
**კახა ზალამბერიძე**



გიორგი მიქაძეს სასწრაფოდ უწამლეს



ალან კუსოვი

# ირლანდიური ისტორია ინგლისური დასასრულით

## სანდერლენდს უილკინსონი შერჩა





ჰოვარდ უილკინსონს „სანდერლენდის" გაწვრთნაში სტივ კოტრილი დაეხმარება

**ინგლისში** ირლანდიური ისტორია ხურდება: გასულ შაბათს თანამდებობიდან გადააყენეს „სანდერლენდის" მენეჯერი პიტერ რიდი და გუნდის შესაძლო თავკაცის თანამდებობაზე უმუშევარი და სახელიანი მწვრთნელების სიაც გამოჩნდა.

„ლიდსის" ყოფილი მენეჯერი დევიდ ოლირი, მრავალნაცადი და ტიტულოვანი ჯორჯ გრემი და აზმაზი ირლანდიელი ნაილ ქუინი, რომელიც წლეულს გამოეთხოვა ნაკრებს, „სანდერლენდში" კი გაჭირვების ტალკვეს ფეხბურთელად და ვარჯიშების მწვრთნელად ირიცხება — ასეთი იყო სია, გუშინწინ კი კიდევ ერთი სახელი გაჩნდა: ირლანდიის ნაკრების თავკაცი მიკ მაკარტი.

მაკარტი წამსვე იქცა ფავორიტად, მისმა ბიოგრაფმა კატალ დირვინმა „BBC"-ის უთხრა, რომ მიკი ყოველდღიურ სამუშაოზე ოცნებობს, ისეთი თანამდებობის შეთავაზება კი, როგორიც „სანდერლენდის" მენეჯერობაა, ძალიან იშვიათი რამ არის დღევანდელ ფეხბურთში. მაგრამ, მაკარტი უარზეა.

მიკის კანდიდატურას ზურგს უმაგრებდა „სანდერლენდის" ყველაზე ავტორიტეტული მოთამაშე ნაილ ქუინიც. ისიც, ცხადია, ირლანდიელი და ნაკრების ერთ-ერთი ოდინდელი ლიდერი. ქუინი ისედაც მაკარტის ახლობელი კაცია და მას არაერთხელ ამოდგომია მხარში კარგ, თუ საჭოჭმანო საქმეებში. და აქ უნდა ვახსენოთ ირლანდიელთა და „მანჩესტერის" კაპიტანი როი კინი, რომელსაც დაფიცებული აქვს, სანამ მაკარტი ნაკრების მწვრთნელი იქნება, მწვანე მაისურას არ მოვირგებო.

ეს ამბავი იმ ცნობილ სკანდალს უკავშირდება, ირლანდიელთა ბანაკში რომ მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ. მაშინ როი კინმა ვარჯიშის პირობები დაიწუნა, შინ წასვლა გადაწყვიტა, მერე გადაიფიქრა, მაგრამ მაკარტიმ იმდენი მოახერხა, რომ ინტრიგაზე გამოიწვია როი, მისგან ათწუთიანი სალანძღავი სიტყვა მოისმინა და ნაკრებიც უკაპიტნოდ დარჩა.

ქუინმა, კინის იმ გამოსვლას „საშინლად ჭკვიანური" უწოდა, თუმცა გუნდურ კრებაზე მენეჯერის მხარე დაიჭირა, სასწრაფო პრესკონფერენციაზე კინი გააკრიტიკა და იმავე ღამით, სასტუმროს ნომერში ყოვლად ფარისევლურად ეახლა კინს თავის მოსაქონად. მიკ მაკარტი კი გახლავთ ის კაცი, რომელიც წლეულს, პორტუგალიასთან ირლანდიელთა საკვალიფიკაციო მატჩის შემდეგ კინს მოედანზე დასდევდა და ეუბნებოდა, ათიოდ წამით გვერდიგვერდ დავდგეთ, რათა სურათი გადაგვიღონ და ჩვენი ერთობა დაინახონო.

ეს ყველაფერი მოთხრობილია კინის ახალგამოცემულ ავტობიოგრაფიაში, სადაც ნაილ ქუინი არცთუ კარგი სიტყვით არის მოხსენიებული.

ქუინი გუშინ მთელ დღეს ელაპარაკებოდა ჟურნალისტებს და ისიც თქვა, მაკარტი „სანდერლენდში" რომ დანიშნონ, როი ნაკრებს დაუბრუნდება, რაც გამახარებდაო. ცხადია, ქუინს კუჭი აუწვა „მანჩესტერის" კაპიტნის წიგნმა და ათქმევინა, იმ ამბის შემდეგ სულ მინდოდა როისთან დალაპარაკება, მაგრამ ვერ მოვახერხეო. აგვისტოში, სანდერლენდში როი კინი მინდვრიდან გააძევეს. „მე მინდოდა განზე გამეხმო როი და გველაპარაკა, მაგრამ ალექს ფერგიუსონმა არ მიმიშვა, თავი დაანებეო. როის და მე საერთო ადვოკატი გვყავს, მისი მეშვეობით შეხვედრა ვთხოვე. როი თანახმაა. ვფიქრობ, ხელს ჩამოვართმევთ ერთმანეთს" — თქვა ქუინმა.

„სანდერლენდის" თავმჯდომარე ბობ მიურეი კი კლუბის მოწესრიგებას ცდილობდა. „სანდერლენდში" ხომ მთელი ირლანდიური კოლონიაა. ქუინთან ერთად აქ არიან ნაკრების წევრები: ჯეისონ მაკატირი, კევინ კილბეინი და ფილ ბები. ასე რომ, მაკარტის მიწვევა ჭკუასთან ახლო ნაბიჯი ჩანდა, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, მიკმ იუარა.

ამასობაში კი „სანდერლენდს" მაინც გამოუჩნდა მწვრთნელი — ჰოვარდ უილკინსონი, რომელიც ბოლოს საქმეში ორი წლის წინათ უნახავთ, მაშინ, როცა კევინ კიგანმა საჩქაროდ მიატოვა ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა. ფინელებთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნაკრებს უილკინსონმა უხელმძღვანელა და ფრეს მიაღწია. უილკინსონი ერთხელაც იყო ნაკრების დროებითი მწვრთნელი. იმ დროს, როცა გლენ ჰოდლი კევინ კიგანს უნდა შეეცვალა. ამ ორთა მოხსნა-დანიშვნას შორის უილკინსონმა „უემბლიზე" გაიყვანა ნაკრები ფრანგებთან ამხანაგურად სათამაშოდ და წააგო.

უილკინსონი კარგახანს მუშაობდა ნაკრებების ტექნიკურ დირექტორად. მას შემდეგ, რაც „შეფილდ უენსდის", მანამდე კი მისგან გაჩემპიონებულ „ლიდსს" წვრთნიდა.

თანაშემწედ ვილკიმ აიყვანა ძველი მეგობარი სტივ კოტრილი. ფეხბურთის ასოციაციის თავკაცმა ადამ კროზიემ კი ის დიდსულოვნად გაათავისუფლა თანამდებობიდან.

**ირაკლი გამყრელიძე**

# პელე ფულემში გადავიდა



**მილიარდელი** მუჰამედ ალ ფაიედი ფრთებს შლის. მისი „ფულემი" მშვენივრად თამაშობს პრემიერლიგაში, ამბიციური თავმჯდომარე კი თვით ფეხბურთის მეფეს, პელეს გადაუხდის ხელფასს.

ამიერიდან პელე „ფულემის" სკაუტი იქნება ბრაზილიაში და ნიჭიერ შავტუხა ბიჭებს კოპაკაბანადან ლონდონისკენ გამოირეკავს.

„ეს ფანტასტიკურია ჩვენთვის. უკეთესი სკაუტი არსებობს?" — ხარობს ალ ფაიედი.

პელე ლონდონში ყოფილა თავისი წიგნის პრეზენტაციაზე და შეთანხმებაც იქ შემდგარა. ფეხბურთის მეფეს ნდომებია, რომ პრემიერლიგაში მეტი ბრაზილიელი ჩანდეს.

„იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში ბევრი ჩვენებური თამაშობს, ინგლისში კი სულ რამდენიმე — უთქვამს პელეს — ჩვენთან, მაგალითად, ჩემს მშობლიურ „სანტოსში" ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა და ისინი „ფულემსაც" გამოადგებოდნენ".



პელეს მუჰამედ ალ ფაიედი ხელგაშლილი შეეგება

ორშაბათის თამაში მართლაც უჩვეულო გამოდგა – „მანჩესტერ იუნაიტედი" 86 წუთი უშედეგოდ უტევდა, მერე კი აიწყვიტა და „ევერტონი" მთლად 3:0 გაანადგურა. გარდამტეხი, ცხადია, პოლ სქოულზის პირველი გოლი იყო

# ა, ქვითარი!

„ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელი და დაძაბული 86 წუთი იყო" — ამ სიტყვების ავტორი არა ფერგიუსონი, ანდაც სქოულზი, თუნდაც „ოლდ ტრეფორდზე" მჯდარი რომელიმე ფანი, არამედ, ბრიტანეთის სამეფო არტილერიის ერთი ჩვეულებრივი რიგითი, 24 წლის მარკ საიმონსია. „დონკასტერ როვერსის" თავგადაკლული გულშემატკივარი ზემოთნახსენებ მატჩს ტელევიზიით უყურებდა და თან, რბილად რომ ვთქვათ, ნერვიულობდა.

რა რჯიდაო, იკითხავთ. ეჰ, მაგას რჯიდა, თორემ სქოულზი დღეს თუ არა, ხვალ მოიგებს.

საქმე მარტივადაა: მარკ საიმონსს 4 გირვანქა ჰქონდა დადებული „ლედბროუკში". პროფესიული ენით რომ ვთქვათ, ის 4 გირვანქა თავიდანვე დამწვარი ეგონა — 18 მატჩის შედეგის გამოცნობა დაესახა მიზნად. მაგრამ გავიდა შაბათი, აგერ კვირაც, როცა „ლივერპულმა" ბოლო წუთზე გაუმართლა, და აღმოჩნდა, რომ 17 შედეგი გარტყმული ჰქონდა. დარჩა ერთი, „მანჩესტერის" ერთიანი.

დაზღვევა არც უფიქრია. ალბათ ამდენი ფული არც ჰქონდა და 40 ათას კუშიანი ქვითარი „მანჩესტერის" ოსტატობაზე ჩამოჰკიდა — ბოლო-ბოლო, „ემიუს" მოგება 1,2-ად იყო შეფასებული. გარისკა და... ახლა შამპანურს სვამს. „ჯარისკაცისთვის 164 776 გირვანქა უზარმაზარი ფულია, თუმცა სამსახური ისე მიყვარს, თავს ვერ გავანებებ" — თქვა მარკმა და ჟურნალისტებს გაანდო, რომ უახლოესი გეგმა დარლინგტონში ახალი ბინის ყიდვაა, თუმცა მანამდე ცოლ-შვილთან ერთად სადმე კარგ კურორტზე დაისვენებს.

**გიგა ძოზახიძე**



მარკ საიმონსმა პოლ სქოულზის ამ დარტყმის მერე შვებით ამოისუნთქა



**P.S.** ეს წერილი აქ რომ დაგვემთავრებინა, ცხადია, მეკუშეების დიდ რისხვას დავიმსახურებდით. ამიტომ გთავაზობთ იმ მატჩების სიას, მისტერ საიმონსმა რომ ჩაწერა ბედნიერ ქვითარში:

| | | | |
|---|---|---|---|
| პიტერპედი | — | ისტ სტირლინგი | 1 |
| ფორფარი | — | რეითი | 2 |
| დანფერმლაინი | — | პარტიკი | 1 |
| შრიუსბერი | — | ჰარტლპული | 2 |
| რაშდენი | — | ლეიტონი | 1 |
| კარლაილი | — | ტორკი | 2 |
| სუინდონი | — | ოლდემი | 2 |
| ბრისტოლი | — | ჩესტერფილდი | 1 |
| ბლეკპული | — | ჩელტენემი | 1 |
| უოტფორდი | — | ბრაიტონი | 1 |
| როტერჰემი | — | პორტსმუთი | 2 |
| მილუოლი | — | ნოტინგემი | 2 |
| ჯილინგემი | — | კოვენთრი | 2 |
| ნიუკასლი | — | ვესტ ბრომვიჩი | 1 |
| მიდლსბრო | — | ბოლტონი | 1 |
| ლივერპული | — | ჩელსი | 1 |
| არსენალი | — | სანდერლენდი | 1 |
| მანჩესტერი | — | ევერტონი | 1 |

# ცოლი გვერდზე მიზის, შენზე ფიქრებს მიშლის



ჰასან შაში ცოლი და სიდედრ-სიმამრი „ფენერბაჰჩეს" ურჩევენ

**დააკვირდით** და შეამჩნევთ: თურქეთის ნაკრების ორი ფეხბურთელი, ჰასან შაში და უმით დავალა ისე დაიკარგნენ, რომ ფათიჰ თერიმი „გალათასარაის" ძირითად შემადგენლობაშიც იშვიათად ათამაშებს. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჰასან შაშზე ამბავი ატყდა. იქით „ბარსელონა" ეპატიჟებოდა, აქეთ ლონდონის „არსენალი". შაშმა ბრაზილიელებთან მატჩში გატანილი გოლით დაიგდო სახელი, ხოლო უმით დავალამ იაპონიას გაუტანა და გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა.

ლოგიკური ალბათ ის იქნებოდა, რომ ამ ფეხბურთელების მონდომება გაორკეცებულიყო, მაგრამ თურმე სად ხარ. ფეხბურთი ყოველთვის მხოლოდ ფეხბურთი არაა. ბოლო წლებში ხშირად საუბრობენ, რომ სპორტის ეს სახეობა ბიზნესია, სადაც ფულის ჭრა გამალებული ტემპებით მიმდინარეობს. განა რა აკლია „გალათასარაის"? არც ფული, არც სახელი და არა დიდება. იგივე აქვს ყველა მის მოთამაშეს, მაგრამ მთავარი ხომ მხოლოდ ეს არაა, მოედნის გარეთ ოჯახია, მეგობრები, სიყვარული და „ქალი ლამაზი, თმიანი".

რაც დაფარულია, გაცხადდება. თურქულმა პრესამ იმდენი იხეტიალა, სანამ ჰასან შაშის „ჩავარდნის" მიზეზს არ მიაკვლია. თურმე, ნუ იტყვი და, ფეხბურთელის ფორმიდან ამოვარდნა ქალის ბრალი ყოფილა. ჰასანს გულის სწორი ჰყოლია — სიბელ იალჩინი. გაცნობისას ფეხბურთელს, ალბათ, თავში აზრადაც არ მოსვლია, სიბელისთვის ეკითხა, რომელ გუნდს გულშემატკივრობო. თუნდაც ეკითხა, ამით არაფერი შეიცვლებოდა, რადგან პირმშვენიერი სიბელი გულში ჩაუვარდა და აღარას დაეძებდა. მოკლედ, რომეო და ჯულიეტაა. ვაჰ! შენს ჰასანსა, როცა შეიტყო, რომ სიბელ იალჩინის მთელი ოჯახობა, პოტენციური სიდედრ-სიმამრი, სისხლ-ხორცით „ფენერბაჰჩეს" ქომაგნი ყოფილან. „გალათასარაის" და „ფენერბაჰჩეს" შორის კი ისეთი ურთიერთობაა, რომელშიც მხოლოდ „ურთი" არსებობს, „ერთობა" — წაშლილია. ბედი არ გინდა? აწყობილი ცხოვრება, სიყვარული, ფული, ქონება, ამ დროს კი „ფენერის" ლურჯ-ყვითელი ზოლები.

აი, მთელი მიზეზი იმისა, თუ რატომ იკლო მზის სხივმა ჰასან შაშის მოტვლეპილ თავზე ფეხბურთელს არც „გალათასარაი" ეთმობა, კლუბი, რომელშიც ყველაფერს მიაღწია და არც სატრფო, რომლის მშობლებიც გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, ან „გალადან" „ფენერბაჰჩეში" გადახვალ, ანაც უცხოეთში, ინგლისში გაახერხე ტრანსფერიო. რატომ მაინცდამაინც ინგლისი? იმიტომ, რომ სიბელ იალჩინი ინგლისური ენის სპეციალისტი ყოფილა, სწავლის გაგრძელებაც ბრიტანეთში სწადია, ჰოდა, შაშსაც ვერ გადაუწყვეტია, რომელ წყალში ჩააჭყაპუნოს.

უმით დავალამ აურია. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში სტამბოლში ერთ ბავშვს დავალასებური ვარცხნილობა დაუყენებია. მამას უნახავს და გაბრაზებულა, შვილისთვის უთქვამს, წადი და ეგ დარჩენილი თმაც მოიცილეო. ბავშვი წასულა და თავი ჩამოუხრჩვია. ეს ტრაგიკული ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ უმით დავალას მაშინ თურქეთში ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა.



უმით დავალამ ტანზე იზმირშიც შემოიხია

ის, რაც რამდენიმე დღის წინ თურქმა ფეხბურთელმა იზმირში, ერთ-ერთ რესტორანში ჩაიდინა, არა გვგონია, მისი ფანებისთვის სამაგალითო იყოს. მოკლედ, უმითი ძმაბიჭებთან და სატრფოსთან ერთად რესტორანში შეეხეტა. იზმირის ტელევიზიისა და პრესის ჟურნალისტებს ჩიტმა ამბავი მიუტანა და ისინიც მიკროფონ-კამერიანად, კალამ-ფურცლიანად ფეხბურთელის სუფრასთან გაჩნდნენ. როგორც თვითმხილველნი ამბობენ, უმითი და ძმანი მისნი ოდნავ შექეიფიანებულნი ყოფილან. თავმობეზრებულ ფეხბურთელს კამერები მიულეწია, თან მასმედიელები სულ პანღურის ცემით გაურეკია. „სატრფო თავისი" ტაქსით გაუცილებია, მერე მობრუნებულა, ვინც დარჩენილა რესტორნის შესასვლელში, მათაც დარევია. „ვინ ყოფილა ეს ოხერი" — ყვიროდა თურმე მავანი იზმირელი ჟურნალისტი და თან გარბოდა.

სულაც არ ვწუხვარ მომხდარის გამო, თქვა უმით დავალამ, არავის აქვს უფლება, ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს, ბოლოს და ბოლოს, მეგობრებთან ერთად პური ველარ მიჭამია?

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იზმირში უმით დავალას სახელი ერთ-ერთ ქუჩას დაარქვეს. ინციდენტის შემდეგ კი სავსებით შესაძლებელია, ქუჩას ძველი სახელი დაუბრუნდეს.

**გაგა ხუციშვილი**

# წინ წარსულისკენ!

## ლეაომ სანტოსი 60-იან წლებში ამოგზაურა

### ბრაზილია

**მე-17 ტური: გრემიო — ბოტაფოგო 1:1; ფლამენგო — სან კაეტანო 2:0; კორინთიანსი — ფიგუერენსე 2:2; სანტოსი — ატლ. მინეირო 3:2; ატლ. პარანენსე — პონტე პრეტა 0:1; პაისანდუ — ბაია 3:2; ვიტორია — კრუზეირო 4:2; ჟუვენტუდე — პორტუგეზა 1:1; გოიასი — პალმეირასი 4:2; სან პაულუ — კურიტიბა 3:1; ფლუმინენსე — პარანა 3:2; გუარანი — გამა 3:1**

დღევანდელი „სანტოსი" თავისი შემტევი, ლამაზი თამაშით ხალხს 60-იანი წლებისკენ, იმ დიდი „სანტოსისკენ" მიახედებს, რომელსაც მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. ოთხაშაბათს, საერთობრაზილიურ პირველობის მორიგ ტურში სანტოსმა 3:2 მოუგო „ატლეტიკო მინეიროს" და მეოთხედფინალში მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

შეგახსენებთ, რომ ამ პირველობაში ერთ წრეღ 26 გუნდი ჩაბმულა, რვა საუკეთესო კი პლეი ოფში განაგრძობს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. „სანტოსი" კი 18 წელიწადია არ ყოფილა რაიმეს ჩემპიონი. „სანტოსი" აგებდა, თუმცა, მწვრთნელ ემერსონ ლეაოს გასახარად, შვიდ წუთში ორი გოლი გაიტანა და თამაში მოიგო. ლეაოს ორი დიდებული ყმაწვილი ჰყავს: 18 წლის მეგოლე რობინიო და 17 წლის ნახევარმცველი დიეგუ. სწორედ რობინიომ შეაგდო გამარჯვების ულამაზესი გოლი.

ამ გამარჯვებამ „სანტოსი" მესამე ადგილზე ააცოცა, 16 თამაშიდან 29 ქულით.

ცხრილს კვლავ ლიდერობს მოდაში შემოსული უსახელო „ჟუვენტუდე", რომელმაც ფრეს, 1:1-ს მიაღწია „პორტუგეზასთან" ედმილსონის გვიანი გოლის წყალობით. „ჟუვენტუდესთვის" ქულაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მადევარ „სან კაეტანოსთვის" გადაესწრო. „სან კაეტანო" „მარაკანაზე" დამარცხდა „ფლამენგოსთან". თამაშის ორივე გოლი მენგოელმა ლიედსონმა გაიტანა და ჯამში სეზონური 11 გოლი დაუგროვდა, თუმცა, ასიათასიან სტადიონზე მხოლოდ რვაათასი კაცი მივიდა. „ფლამენგო" მეჩვიდმეტე ადგილზეა და 7 ქულით უსწრებს მეოცეადგილოსან „ბოტაფოგოს", თუმც მხოლოდ ქულით ჩამორჩება მეექვსე ადგილზე მყოფ „კურიტიბას". ამიტომ, „მენგოს" უფროსობა მაინც მეოთხედფინალისკენ იმზირება.

ჩემპიონატის მთავარმეგოლემ, გრემიოელმა როდრიგუ ფაბრიმ თავისი მეთოთხმეტე გოლი გაიტანა, თუმცა, პენალტი გააფუჭა და მისი გუნდიც ფრეს დასჯერდა „ბოტაფოგოსთან" მატჩში. თავის მხრივ, „ბოტას" აღარ წაუგია, რაც სეზონში მესამე მწვრთნელად ივო კორტმანი დაუნიშნეს.

ამ დროს კი კოლუმბიელმა ვიქტორ უგო არისტისაბალმა ჰეთ თრიქი ალასრულა. ამ ჰეთ თრიქით „ვიტორიამ" თამაში შემოატრიალა „კრუზეიროსთან", 4:2 მოიგო და მეცხრე ადგილს უწია.

კვლავ წააგო „პალმეირასმა", 2:4 მაჩანჩალა „გოიაშთან". დიადი კლუბი გავარდნის პირასაა.

**ვალდირ ნუნიშ დუ ბაია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟუვენტუდე | 16 | 9 | 3 | 4 | 19:11 | 30 |
| სან კაეტანო | 16 | 9 | 2 | 5 | 26:17 | 29 |
| სანტოსი | 16 | 8 | 5 | 3 | 29:21 | 29 |
| სან პაულუ | 17 | 8 | 4 | 5 | 32:24 | 28 |
| კორინთიანსი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:25 | 28 |
| კურიტიბა | 15 | 8 | 2 | 5 | 23:17 | 26 |
| გუარანი | 15 | 7 | 4 | 4 | 20:15 | 25 |
| ატლ. მინეირო | 16 | 7 | 3 | 6 | 27:23 | 24 |
| ვიტორია | 16 | 7 | 3 | 6 | 29:26 | 24 |
| პონტე პრეტა | 15 | 7 | 2 | 6 | 19:15 | 23 |
| ატლ. პარანენსე | 16 | 6 | 5 | 5 | 23:17 | 23 |
| გრემიო | 16 | 6 | 5 | 5 | 25:21 | 23 |
| კრუზეირო | 16 | 6 | 5 | 5 | 23:24 | 23 |
| ფიგუერენსე | 15 | 8 | 3 | 6 | 21:24 | 21 |
| ინტერნასიონალი | 15 | 5 | 6 | 4 | 23:21 | 21 |
| ფლუმინენსე | 15 | 6 | 2 | 7 | 24:31 | 20 |
| ფლამენგო | 16 | 5 | 4 | 7 | 27:26 | 19 |
| გამა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:21 | 19 |
| პორტუგეზა | 16 | 5 | 4 | 7 | 15:22 | 19 |
| ბოტაფოგო | 16 | 4 | 7 | 5 | 17:22 | 19 |
| ვასკუ და გამა | 15 | 5 | 2 | 8 | 20:22 | 17 |
| გოიასი | 16 | 4 | 5 | 7 | 25:29 | 17 |
| პაისანდუ | 15 | 5 | 1 | 9 | 22:32 | 16 |
| ბაია | 16 | 4 | 3 | 9 | 18:25 | 15 |
| პალმეირასი | 17 | 3 | 6 | 8 | 20:33 | 15 |
| პარანა | 15 | 4 | 2 | 9 | 25:27 | 14 |



გრემიოელმა როდრიგუ ფაბრიმ (ბურთით) „ბოტაფოგოს" ერთი გაუტანა და კვლავ მთავარმეგოლეა



# ერიბერტო ხარ თუ...

იტალიაში ყალბი პასპორტებით სამხრეთ ამერიკიდან ფეხბურთელების ჩამოსვლა და სერია A-ში თამაში ჩვეულ ამბად იქცა. სხვა თუ არაფერი, თვით ვერონასაც კი ჰქონდა ამ მხრივ პრობლემები. პრობლემები შეექმნა „კიევოს" ლუსიანოსაც, რომელიც ვერონაში ერიბერტოს სახელით იყო ცნობილი. წინა თვეში ლუსიანო ერიბერტომ აღიარა, რომ მისი დოკუმენტები გაყალბებული იყო. ამას საფუძველი ჯერ კიდევ 1996 წელს ჩაეყარა, როდესაც ლუსიანომ „პალმეირასში" ჩასარიცხად კონსეისაო სილვა ერიბერტო დაირქვა და, რაც მთავარია, 4 წელი ჩამოიკლო (20-ის ნაცვლად 16 წლის პერსპექტიული თინეიჯერი გახდა). ამ დოკუმენტებით ჩავიდა იტალიაშიც, ჯერ „ბოლონიაში", შემდეგ კი „კიევოში". გასულ სეზონში ცრუ ერიბერტომ „კიევოს" ალზევებაშიც თავისი წილი დაიდო.

ჯერჯერობით ლუსიანო სერია A-ს მატჩებიდან მოკვეთილია, მის საქმეს კი იტალიური საფეხბურთო ინსტანციების გარდა ფიფაშიც იხილავენ. „ვინმესთვის ზიანის მიყენება აზრადაც არ მომსვლია. ვიცი, რომ ცუდი საქმე ჩავიდინე, მაგრამ მოტივებიც მქონდა. იმედია, გამიგებენ და თამაშის საშუალება ისევ მომეცემა" — განაცხადა ერიბერტომ. იტალიის ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტი კი სხვაგვარად სჯის. ფედერაციისგან მიღებული რეკომენდაციით, ბრაზილიელ ნახევარმცველს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუმც კომიტეტს უფრო მსუბუქი სასჯელის გამოტანაც შეუძლია. სასჯელი ერიბერტოს კლუბებს — „ბოლონიასა" და „კიევოსაც" არ ასცდებათ, თუ, ცხადია, ამ მაქინაციაში მონაწილეობა დაუმტკიცდათ.

**სერგი ჟორჟაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი!

## ძეგლივით უდრეკი ჰიდინკი, ბარათი და ორი ტყვია



გუს ჰიდინკს ჰოლანდიაში სიკვდილით დაემუქრნენ ...

ვილაცამ გაბედა და სამხრეთ კორეის ეროვნულ გმირს, ერთი კვირის განმავლობაში უკვე მეორეჯერ დაემუქრა კაცს, რომლის სახელიც ჯერ კიდევ აბოდებს მილიონობით ადამიანს შორეულ კორეაში რომელიც ისე დააფასეს უცხოტომელებმა, რომ იქ ძეგლიც დაუდგეს და ქვეყნის პრეზიდენტობასაც უპირებდნენ, ახლა თავისივე სამშობლოში მოკვლით ემუქრებიან.

„პსვ ეინდჰოვენის" მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ერთი კვირის წინ უცნობის წერილი მიიღო. ვინ იცის, თავიდან იქნებ გაუხარდაც კიდეც, კორეელი იქნება, მადლიერების ბარათს მწერსო, მაგრამ კონვერტში რომ ჩაიხედა, იქ ტკბილი სიტყვების მაგივრად ორი ტყვია იპოვა.

კონვერტის გამგზავნმა, რა თქმა უნდა, თავისი ვინაობა არ მიუთითა, რის გამოც ჰოლანდიური პოლიცია ჯერჯერობით დაბნეულია და არ იცის, რომელ კვალს მისდიოს. სამართალდამცავები უმალ რომ ვერ გაერკვეოდნენ, ეს ცხადია, იმ უცნობმაც იცის და ავი საქმის ჩადენას ურცხვად განაგრძობს. მან, როგორც ვთქვით, ერთი კვირის თავზე მეორედ გაგზავნა მწვრთნელთან იგივე მუქარის კონვერტი ორი ტყვიით.

ყველაზე სავარაუდო ვერსიად მიიჩნევენ, რომ ჰიდინკი, შესაძლოა, „პსვ ეინდჰოვენის" მოწინააღმდეგე რომელიმე ჰოლანდიური კლუბის ფანისგან „მარაგდება" ტყვიებით. პოლიცია არ გამორიცხავს იმ ვერსიაც, რომ ავი ზრახვით შეპყრობილი, შესაძლოა, კორეელი იყოს, რომელსაც ძალიან ეწყინა, ჰოლანდიელმა ამ ქვეყნის მწვრთნელის თანამდებობა რომ დატოვა.

თავად გუს ჰიდინკი, რომელიც წერილის მიღების წუთსვე, ცხადია, პოლიციას დაუკავშირდა, ჯერჯერობით კორეაში აღმართული მისივე ძეგლივით შეუვალია და ამბობს, რომ „პსვ ეინდჰოვენში" მუშაობას გააგრძელებს. ამჟამად მას გუნდი კანარის კუნძულებზე ჰყავს შეკრებაზე.

ჰიდინკმა თქვა: „ამ საქმის გასარკვევად ავტორიტეტული ხალხი მუშაობს, ვნახოთ, რა მოხდება. მე ჩემს საქმეს გავაგრძელებ. ჩემი აზრით, ვილაც მოწინააღმდეგე გუნდის უჭკუო ფანმა ჩაიდინა ეს საქმე, რათა შევეშინებინე. ის ფიქრობს, რომ ასეთი საქმით უმამაცესი ადამიანის შეშინებაც შეიძლება".

მწვრთნელების შეშინების მცდელობა ახალი ამბავი სულაც არ გახლავთ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ „ლიდს იუნაიტედის" ყოფილმა თავკაცმა დევიდ ოლირიმ მიიღო მუქარის ბარათი, თუმცა მაშინ კონვერტში ტყვიები არ იყო.

**ნიკა შუბლაძე**




..კორეაში კი ...

# სწრაფად და იაფად



# ბეკენბაუერმა დროის ათვლა დაიწყო

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი გერმანია გამალებით ემზადება მთავარი საფეხბურთო ფორუმისთვის.

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ვინ იქნება, თუ არა ფრანც ბეკენბაუერი. ჰამბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე „კაიზერ ფრანცმა" ბრძანა: „ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი გვაქვს, თუმცა ნახევარზე მეტი გზა გავლილია. სტადიონთა უმრავლესობა თითქმის მზადაა და ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სპონსორებთან. უახლოეს დღეებში დაგეგმილია კონსულტაციები მთავრობის წევრებთან".

ვიცე-პრეზიდენტმა ჰორსტ შმიდტმა დასძინა, რომ ბილეთების ფასი გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე კორეა-იაპონიაში იყო და მათი გაყიდვა 2004 წლიდან დაიწყება.

ერთადერთი, რაც ფრანც ბეკენბაუერს აღელვებს, ბუნდესკლუბების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაა. ამის მიზეზი კი, გახსოვთ ალბათ, კირხის მედიაიმპერიის გაკოტრებაა.

ბუნდესკაცის, ფრანც ბეკენბაუერის თქმით, ფინანსურმა პრობლემებმა შესაძლოა, პირდაპირი ზეგავლენა იქონიოს იმ სტადიონებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე, რომელთა მფლობელნი კლუბები არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო შესაძლოა, ბარსელონის „ესპანიოლს" ჩაუდგეს სათავეში. ხუანდე რამოსის ხელში კატალონიელთა მეორე სიამაყე პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონში კრიზისს განიცდის და ცხრილშიც ბოლო ადგილზეა. კამაჩო ზაფხულის მერე უმუშევარია და შეთავაზებულ წინადადებაზეც სერიოზულად ფიქრობს.

**იტალიურმა „ინტერმა" ფრანგული „ლიონის" ახალგაზრდა ფორვარდ სიდნეი გოვუს შეძენის სურვილი გამოთქვა. ყმაწვილი გოვუ ექტორ რაულ კუპერს „ინტერ" — „ლიონის" ამასწინანდელ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრისას მოსვლია თავში, გოვუს ინგლისური კლუბებიც ეკურკურებიან. ვარაუდობენ, რომ „ინტერი" მოლაპარაკებებს დააჩქარებს და სიდნეი გოვუც „სან სიროზე" ნაახალწლევს გადაბარგდება — ამ დროს ევროპაში ზამთრის ტრანსფერები გახსნილი.**

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის" 43 წლის მწვრთნელი პანაიოტის ლემონისი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ლემონისის ხელში „ოლიმპიაკოსი" ცუდად ნამდვილად არ გამოუყურებოდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა სოკრატის კოკალისმა ჩემპიონთა ლიგაში ებრაულ „მაკაბისთან" 0:3 განადგურება ვერ აიტანა და... პანაიოტის ლემონისი „ოლიმპიაკოსის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელმა იანის კოლიასმა შეცვალა.

**ესპანური „რეალის" ვეტერანი მცველი ფერნანდო იერო „მალაგაში" ითამაშებს, ოღონდ მშობლიური ქალაქის გუნდში მას შემდეგ გადავა, თუ „რეალმა" კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი უთხრა. მისი თქმით, ფეხბურთის უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ სამი წელი შეუძლია.**

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირი კომპენსაციის სახით მიუნხენის „ბაიერნს" 4 მილიონ ევროს გადაუხდის — ნახევარმცველი სებასტიან დაისლერი ხელმეორედ მას შემდეგ დაშავდა, როცა ფისლერმა სანაკრებო შეკრებაზე ავსტრიელებთან მატჩის წინ გამოიძახა. გაცხადდა ისიც, რომ დაისლერი მინდორს 2003 წლის იანვარში თუ დაუბრუნდება.

**იტალიური „რომას" 33 წლის თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა შესაძლოა, მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში" დაბრუნდეს. ამის შესახებ განცხადება გააკეთა „ბოკას" პრეზიდენტმა მაურიოსის მაკრიმ, თუმცა... „ჩვენ გვინდა, „ბატიგოლი" დაგვიბრუნდეს, ოღონდ არა პენსიონერი, მან გოლები ადრინდელივით უნდა გაიტანოს".**

**ინგლისურმა** „მანჩესტერ იუნაიტედმა" კვლავ გამოთქვა „მილანის" უკრაინელ სუპერვარსკვლავ ანდრეი შევჩენკოს შეძენის სურვილი. „შევა" ახლა ტრავმირებულია, მაგრამ ჩინებული მეგოლეა, ვან ნისტელროი-შევჩენკოს დუეტი ბრწყინვალე იქნებოდა" — აცხადებს ალექს ფერგიუსონი. „ალისფერთა" კლუბის ხელმძღვანელობამ შევჩენკოს სატრანსფერო ფასიც დაასახელა — 20 მილიონი გირვანქა, თუმცა ნაკლებსავარაუდოა, „მილანი" ამ თანხად შეელიოს შევჩენკოს მაშინ, როცა ზაფხულში მადრიდის „რეალი" მზად იყო მის სანაცვლოდ 80 მილიონი ევრო გაეღო. ესეც რომ არა, ადრიანო გალიანი კვლავაც კატეგორიულია: „შევჩენკო არ იყიდება".

**უკრაინელმა სერგეი რებროვმა მოსკოვის „სპარტაკში" გადასვლაზე თანხმობა განაცხადა. „ახლა მხოლოდ თამაში მსურს, „სპარტაკის" საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ „ტოტენჰემს" დავაღწიო თავი" — ამბობს რებროვი. თავის მხრივ, ინგლისური და რუსული კლუბების თავკაცები, უკვე მოლაპარაკებების მაგიდას უსხედან და რებროვის სატრანსფერო ფასზეც ბჭობენ.**



# ჟერარ ულიეს 13 ოქტომბერი

**შარშან** 13 ოქტომბერს, „ლიდსთან" მატჩისას ინფარქტმიღებული ჟერარ ულიე წლევანდელ 13 ოქტომბერს მშვიდად, თავის ოჯახთან ერთად გაატარებს. ერთი წლის წინ კი „ენფილდი" შოკში იყო. მწვრთნელის სიცოცხლის გადასარჩენად 11-საათიანი ოპერაცია გახდა საჭირო. „როგორც მითხრეს, საოპერაციო მაგიდაზე გატარებული თითო საათი ერთთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდს უდრის. მე კი გუშინ ნახევარი დღე თეატრში გავატარე. ასე რომ, ყველაფერი კარგადაა" — ამბობს ულიე. მისი გულის მკურნალი „ლივერპულიც" გახდა. წინა სეზონში ხომ პრემიერლიგაში ენფილდელებმა მეორე ადგილი დაიკავეს და თუ ასე გააგრძელეს სვლა (2001 წელს მესამეზე გავიდნენ), იქნებ ამ სეზონის ბოლოს ჩემპიონობასაც შესწვდნენ. ყოველ შემთხვევაში, ულიეს ამის დიდი იმედი აქვს. „ეს დღე, 13 ოქტომბერი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ერთი წლის წინ ბევრს ეგონა, რომ ფეხბურთიდან წავიდოდი, თუმცა ეს ვერ შევძელი. მე სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო და გამარჯვებებსაც ველი, რადგან ახლა უწინდელზე ძლიერად ვგრძნობ თავს" — თქვა ფრანგმა.

**სერგი ძორიძე**

# ჯორჯევიჩს ფეხბურთიც მოუკვდა

ოლიმპიაკოსელ პრედრაგ ჯორჯევიჩს ახლობელი ადამიანი გარდაიცვალა და ამის გამო იგი თავისიანებს იტალიასთან მატჩში ვერ დაეხმარება.

იუგოსლავიის ნაკრების მეორე მწვრთნელმა მილე ტომიჩმა განაცხადა, ფეხბურთელს მისთვის მძიმე ჟამს საამატჩოდ კონცენტრაცია გაუჭირდება და ამიტომ გავათავისუფლეთო. შეგახსენებთ, პრედრაგ ჯორჯევიჩი ის კაცია, ლევერკუზენის „ბაიერს“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში სამი გოლი რომ გაუტანა.

იუგოსლაველთა თავკაცს ჯორჯევიჩის შემცვლელად ორი ფეხბურთელი შეუგულებია. კიეველი ნიკოლა ლაზეტიჩი და ავსტრიული „გრაცერის“ ბობან დმიტროვიჩი.

პირველად გამოიძახეს ეროვნულ გუნდში „ცრვენა ზვეზდას“ მცველი ნემანია ვიდიჩი, რომლის თამაშითაც ძალიან მოხიბლულა მთავარი მწვრთნელი დეიან სავიჩევიჩი.

სავიჩევიჩს არც სხვუნდალივიზიონელი პრედრაგ მიატოვიჩი დავიწყებია. მიატოვიჩი ამჟამად „ლევანტეს“ მაისურით იწონებს თავს.

ქვეყნის მთავარ ნაკრებში ბოლო ხანებში კარგად ათამაშებულ გორან ბუნიევჩევიჩსაც უხმეს, რომელიც „ტოტენჰემის“ ღირსებას იცავს.



## სლოვაკეთი

მეკარეები: მიროსლავ კონიგი (ციურიხი, შვეიცარია), იური ბუჩკო (ქსანთი, საბერძნეთი);

მცველები: პეტერ პლინკა (ბრეგენცი, ავსტრია), მარიან ჩისოვსკი (ინტერი), პეტერ ჟურიკი (სლოვანი), მაროშ კლიმპლი (ჟილინა, ჩეხეთი), მარიან ზემანი (ვიტესი, ჰოლანდია), ვლადიმირ ლეიტნერი (ტეპლიცე, ჩეხეთი), მარტინ პეტრაში (სპარტა, ჩეხეთი);

ნახევარმცველები: კაროლ კისელი (ბოჰემიანსი, ჩეხეთი), რასტისლავ მიხალიკი (სპარტა, ჩეხეთი), ვლადიმირ იანოჩკო (აუსტრია, აუსტრია), მარეკ მინტალი (ზილინა), ატილა პინტე (პანიონიოსი, საბერძნეთი), მიროსლავ კარჰანი (ვოლფსბურგი, გერმანია);

თავდამსხმელები: ილიეშ კოზლეი (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), ლუბოშ რეიტერი (სიგმა, ჩეხეთი), რობერტ ვიტეკი (სლოვანი), შილარდ ნემეტი (მიდლსბრო, ინგლისი)

## მოლდოვა

მეკარეები: ევგენი ხმარუკი (ნეა სალამინა, კვიპროსი), ადრიან ბოგდანი (ტიმიშოარა, რუმინეთი);

მცველები: ალექსანდრუ კოვალენკო (დინამო, რუსეთი), ვალერიუ კატინსუსი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ალექსანდრო ბუდანოვი (ტირასპოლი), გენადი ოლექსიკი (ზიმბრუ), გენადი პუსკა (ზიმბრუ), ბორის ჩებოტარი (ზიმბრუ), იური პრიგანიუკი (შერიფი), ადრიან სოსნოვსკი (სატურნი, რუსეთი);

ნახევარმცველები: სტანისლავ ივანოვი (შერიფი), ვადიმ ბორეცი (შერიფი), რადუ რებეჯა (სატურნი, რუსეთი), სერგეი კოვალჩუკი (კარპატი, უკრაინა);

თავდამსხმელები: სერგეი როგაჩევი (სატურნი, რუსეთი), სერგეი კლეშჩენკო (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), ალექსანდრ გოლბანი (დაჩია), ეუგენიუ პატულა (შერიფი)


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები

1000 მეტი დასახელება

კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან, ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია




Zeus ზევსი Bilijardai

Master

saluc

Bilgama

☎ 95-57-75, 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2



24 საათი თქვენს განკარგულებაში

ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური

შპს «დარაკა»

- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს! კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.

ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186


## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. 12 ოქტომბერი

### I ჯგუფი

საფრანგეთი — სლოვენია
მალტა — ისრაელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ისრაელი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### II ჯგუფი

დანია — ლუქსემბურგი
რუმინეთი — ნორვეგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ლუქსემბურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### III ჯგუფი

მოლდოვა — ჩეხეთი
ბელარუსი — ავსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ავსტრია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### IV ჯგუფი

შვედეთი — უნგრეთი
პოლონეთი — ლატვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სან მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### V ჯგუფი

ისლანდია — შოტლანდია
ლიტვა — ფარერები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ფარერები | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### VI ჯგუფი

ესპანეთი — ჩრდ. ირლანდია
უკრაინა — საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| უკრაინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სომხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### VII ჯგუფი

სლოვაკეთი — ინგლისი
მაკედონია — თურქეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მაკედონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### VIII ჯგუფი

ანდორა — ბელგია
ბულგარეთი — ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ანდორა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### IX ჯგუფი

იტალია — იუგოსლავია
ფინეთი — აზერბაიჯანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### ჩვენი ჯგუფი

საქართველო — რუსეთი
ალბანეთი — შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ალბანეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 22.30 | 001 | კილი-კიოლნი(მ) | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 002 | დრეზდენი-ჰამბურგი(მ) | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 17.00 | 003 | აუე-ესენი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 17.00 | 004 | ურდინგენი-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 17.00 | 005 | ვერდერი(მ)-ბაბელსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.00 | 006 | ლევერკუზენი(მ)-ვატენშაიდი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 17.00 | 007 | ოსნაბრიუკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 008 | პადერბორნი-დინამო | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 009 | დორტმუნდი(მ)-ფერლი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 21.00 | 010 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 21.00 | 011 | ფულენდორფი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 012 | ერფურტი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 17.30 | 013 | შვაინფურტი-რეგენსბურგი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 17.30 | 014 | ნოინკირხენი-ბაიერნი(მ) | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 17.30 | 015 | აუგსბურგი-უნტერჰახინგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 17.30 | 016 | დარმშტადი-აინტრახტი(მ) | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 17.30 | 017 | აალენი-ვეენი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 018 | ზიგენი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-დერბი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 021 | ბარნლი-უოლსოლი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 022 | იფსვიჩი-უენსდი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 19.00 | 023 | მილუოლი-უიმბლდონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 024 | როტერჰემი-ჯილინგემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 025 | უოტფორდი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 026 | უოტფორდი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

### ინგლისი. II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 16.00 | 029 | პიტერბორო-მენსფილდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 030 | ბარნსლი-ბრისტოლი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 19.00 | 031 | კარდიფი-უიკომბი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 032 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 033 | ჰადერსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 034 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 035 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 036 | პლიმუთი-უიგანი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 037 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-ქრიუ | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 039 | სუინდონი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 14 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23.45 | 040 | ქუინზ პარკი-ბლეკპული | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 041 | ბოსტონი-ტორკი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 19.00 | 042 | როვერსი-ლინკოლნი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 043 | ბერი-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 044 | კარლაილი-შრიუსბერი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 19.00 | 045 | ექსეტერი-რაშდენი | 2,9 | 3,1 | 2,3 | 1,49 | 1,28 | 1,32 |
| 19.00 | 046 | ჰალი-როჩდეილი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 19.00 | 047 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 048 | ოქსფორდი-სუონსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 049 | სკანთორპი-კემბრიჯი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 050 | საუთენდი-იორკი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 051 | რექსემი-ლეიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 052 | ბორნმუთი-ჰარტლპული | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |

### იტალია. სერია "B". VII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 053 | ანკონა-სიენა | 1,8 | 2,7 | 5,3 | 1,08 | 1,34 | 1,78 |
| 18.00 | 054 | ბარი-ლეჩე | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 18.00 | 055 | კალიარი-ასკოლი | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 056 | ლივორნო-ტერნანა | 1,9 | 2,7 | 4,7 | 1,11 | 1,35 | 1,71 |
| 18.00 | 057 | მესინა-ვიჩენცა | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 18.00 | 058 | სალერნიტანა-პალერმო | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| 18.00 | 059 | სამპდორია-კატანია | 1,5 | 3,2 | 7,5 | 1,02 | 1,25 | 2,24 |
| 18.00 | 060 | ტრიესტინა-კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 061 | ვერონა-ნაპოლი | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 062 | ვენეცია-ჯენოა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 21.30 | 102 | ფეროლი-ალმერია | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 21.30 | 103 | ეხიდო-ხერესი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.30 | 104 | ლეგანესი-ლას პალმასი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23.30 | 105 | ალბასეტე-სპორტინგი | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,25 | 1,78 |
| 20.00 | 106 | კომპოსტელა-სარაგოსა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 20.00 | 107 | ოვიედო-ხეტაფე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.00 | 108 | სალამანკა-ელჩე | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 22.00 | 109 | ტენერიფე-ეიბარი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 20.00 | 110 | მურსია-ტერასა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 111 | კორდობა-ნუმანსია | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.30 | 112 | ლევანტე-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

### პორტუგალია. II ლიგა. გადადებული მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 20.00 | 201 | ალვერკა-ოვარენსე | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 202 | პორტიმონენსე-ლამაში | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

### ბელგია. II დივიზიონი. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 22.30 | 116 | დესელი-ვირტონი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 117 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 23.00 | 118 | ეუპენი-ლიეჟი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 13 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 119 | რონსე-დაინცე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 120 | დენდერლეუ-გეელი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 121 | ვიზეტი-სტრომბეკი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 122 | სერკლი-ვიგორი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 18.00 | 123 | ინგელმუნსტერი-რუზელარე | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 18.00 | 124 | ტინენი-პატრო | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 17.00 | 125 | კლაიდი-ქუინი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებული მატჩი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 19.00 | 126 | გრეტნა-ალბიონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

### საფრანგეთი. ლიგის თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 23.00 | 128 | ამიენი-გენიონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 129 | ბოვე-კაენი | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 23.00 | 130 | გრენობლი-კანი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.00 | 131 | ისტრი-ლორიანი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.00 | 132 | ლე მანი-ვალანსი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 23.00 | 133 | მეცი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 134 | ნანსი-შატორუ | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 135 | ნიმი-ანჟე | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |
| 23.00 | 136 | სტ-ეტიენი-ტულუზი | 2,4 | 2,9 | 2,9 | 1,31 | 1,31 | 1,45 |
| 23.00 | 137 | ვალკვალი-ლავალი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 23.00 | 138 | კრეტეი-კლერმონი | 1,75 | 3,0 | 4,7 | 1,1 | 1,27 | 1,83 |

### პოლონეთი. თასი. 1/8 ფინალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.00 | 139 | პლოცკი-ოსტროვეცი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

### 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ოქტომბერი | | | | | | | | |
| 18.30 | 140 | მოლდოვა-ჩეხეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 19.00 | 141 | შვედეთი-უნგრეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 142 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 19.00 | 143 | ისლანდია-შოტლანდია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 20.00 | 144 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 20.30 | 145 | ბელარუსი-ავსტრია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 21.00 | 146 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |
| 21.00 | 147 | ლიტვა-ფარერები | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 21.00 | 148 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 22.00 | 149 | მალტა-ისრაელი | 8,0 | 4,4 | 1,3 | 2,83 | 1,11 | 1 |
| 22.00 | 150 | რუმინეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.00 | 151 | პოლონეთი-ლატვია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 22.00 | 152 | მაკედონია-თურქეთი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 22.15 | 153 | დანია-ლუქსემბურგი | 1,02 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.30 | 154 | სლოვაკეთი-ინგლისი | 5,3 | 3,3 | 1,6 | 2,03 | 1,22 | 1,07 |
| 23.00 | 155 | ანდორა-ბელგია | 16,0 | 8,0 | 1,05 | 5,33 | 1 | 1 |
| 23.00 | 156 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.45 | 157 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 158 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 00.45 | 159 | ესპანეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური. (21 წლამდე)

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 160 | საქართველო-რუსეთი | ანგარიში5,0 | | | | | |
| 17.00 | 161 | ბელარუსი-ავსტრია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 17.00 | 162 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 18.00 | 163 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 18.00 | 164 | პოლონეთი-ლატვია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 18.00 | 165 | მაკედონია-თურქეთი | 5,0 | 3,6 | 1,55 | 2,09 | 1,18 | 1,08 |
| 19.30 | 166 | ისლანდია-შოტლანდია | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 167 | უკრაინა-საბერძნეთი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.30 | 168 | ფინეთი-აზერბაიჯანი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 21.00 | 169 | სლოვაკეთი-ინგლისი | 3,8 | 3,2 | 1,85 | 1,73 | 1,24 | 1,17 |
| 21.00 | 170 | მალტა-ისრაელი | 4,7 | 3,3 | 1,65 | 1,93 | 1,22 | 1,1 |
| 21.30 | 171 | დანია-ლუქსემბურგი | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |
| 22.00 | 172 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 173 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.00 | 174 | ესპანეთი-ჩრდ.ირლანდია | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 175 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 24.00 | 176 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 177 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |

### ამხანაგური მატჩები

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23.30 | 198 | ბოსნია ჰერცოგოვინა-გერმანია | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 01.00 | 199 | პორტუგალია-ტუნისი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 634 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 20.00 | 635 | ზლინი-ვიტკოვიცე | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |
| 20.00 | 636 | პავირჟოვი-ზნოიმო | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 20.30 | 637 | პლზენი-ლიტვინოვი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 20.30 | 638 | კარლოვი ვარი-სლავია | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 20.30 | 639 | ბუდეიოვიცე-ვსეტინი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 21.00 | 640 | სპარტა-პარდუბიცე | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |

### ჰოკეი. შვეიცარია

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 654 | ამბრი-ლუგანო | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |
| 22.30 | 655 | ბერნი-ლოზანა | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 656 | დავოსი-რაპერსვილი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 657 | სერვეტი-ცუგი | 1,55 | 4,7 | 3,3 | 1,16 | 1,05 | 1,93 |
| 22.30 | 658 | ლანგნაუ-ფრიბურგი | 2,1 | 4,2 | 2,5 | 1,4 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 659 | ციურიხი-კლოტენი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |

### ჰოკეი. გერმანია

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 668 | კიოლნი-შვენინგი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 669 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 670 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 671 | კასელი-იზერლონი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 22.30 | 672 | აუგსბურგი-აისბარენი | 2,25 | 4,2 | 2,15 | 1,46 | 1,09 | 1,42 |
| 23.00 | 673 | კრეფელდი-ინგოლშტადი | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |

### ჰოკეი. შვედეთი

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 704 | ესპოო-პელიკანსი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 705 | ლუკო-ჰაამეენლინა | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |

### ფორმულა 1. XVII რბოლა. იაპონია. სუზუკა

13 ოქტომბერი(07.00)

| | 5001 გამარჯვებული | სამეული | | ექვსეული | | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,55 | 5101 | 1,1 | 5201 | 1,05 | 1,55 |
| ბარიკელო | 2,8 | 5102 | 1,25 | 5202 | 1,12 | 2,8 |
| მონტოია | 7,0 | 5103 | 1,7 | 5203 | 1,35 | 7,0 |
| რ.შუმახერი | 10,0 | 5104 | 2,2 | 5204 | 1,35 | 10,0 |
| კულტჰარდი | 15,0 | 5105 | 3,2 | 5205 | 1,35 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 5106 | 3,2 | 5206 | 1,4 | 20,0 |
| ირვინი | 100,0 | 5107 | 20,0 | 5207 | 2,6 | 100,0 |
| ტრული | 100,0 | 5108 | 20,0 | 5208 | 2,8 | 100,0 |
| ბატონი | 100,0 | 5109 | 20,0 | 5209 | 2,8 | 100,0 |
| ფიზიკელა | 150,0 | 5110 | 30,0 | 5210 | 3,5 | 150,0 |
| ფრენცენი | 150,0 | 5111 | 30,0 | 5211 | 3,5 | 150,0 |
| ჰაიდფელდი | 150,0 | 5112 | 30,0 | 5212 | 3,5 | 150,0 |

## 1-ლი ტაიმის შედეგი

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური

12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 2001 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,0 | 2,7 | 1,65 |
| 19.00 | 2002 | შვედეთი-უნგრეთი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 19.00 | 2003 | საქართველო-რუსეთი | 3,8 | 2,1 | 2,5 |
| 19.00 | 2004 | ისლანდია-შოტლანდია | 2,7 | 2,1 | 3,5 |
| 20.00 | 2005 | ბულგარეთი-ხორვატია | 2,8 | 2,1 | 3,4 |
| 20.30 | 2006 | ბელარუსია-ავსტრია | 2,9 | 2,1 | 3,3 |
| 21.00 | 2007 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,4 | 2,1 | 4,2 |
| 22.00 | 2008 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,2 | 2,1 | 5,3 |
| 22.00 | 2009 | პოლონეთი-ლატვია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 22.00 | 2010 | მაკედონია-თურქეთი | 5,6 | 2,35 | 1,9 |
| 22.30 | 2011 | სლოვაკეთი-ინგლისი | 6,0 | 2,3 | 1,9 |
| 23.00 | 2012 | ალბანეთი-შვეიცარია | 4,7 | 2,15 | 2,25 |
| 23.45 | 2013 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 23.45 | 2014 | იტალია-იუგოსლავია | 1,7 | 2,4 | 7,0 |
| 00.45 | 2015 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,2 | 5,0 | 10,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2101 | მოლდოვა-ჩეხეთი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,2 | 30,0 | 15,0 | 1,8 |
| 19.00 | 2102 | შვედეთი-უნგრეთი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 14,0 |
| 19.00 | 2103 | საქართველო-რუსეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 19.00 | 2104 | ისლანდია-შოტლანდია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.00 | 2105 | ბულგარეთი-ხორვატია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.30 | 2106 | ბელარუსია-ავსტრია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 2107 | უკრაინა-საბერძნეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 22.00 | 2108 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2109 | პოლონეთი-ლატვია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 22.00 | 2110 | მაკედონია-თურქეთი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 22.30 | 2111 | სლოვაკეთი-ინგლისი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,2 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 23.00 | 2112 | ალბანეთი-შვეიცარია | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 23.45 | 2113 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 2114 | იტალია-იუგოსლავია | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 00.45 | 2115 | ესპანეთი-ჩ.ირლანდია | 1,2 | 20,0 | 40,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

გამოვიდა სარბიელის დამატება

კროკო
პროფესიონალთათვის

ორშაბათობით ყველა შედეგი,
ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

## სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

## კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

# საქართველო — რუსეთი



სარუსეთო ვარჯიშებზე ბორჯღალოსნები განსაკუთრებით აუტებზე ბეჯითობენ

# რუსული ვიდეო სორელმა ბიჭები გადაარჩია

**საქართველოს** ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ერთი მნიშვნელოვანი დანაკლისია — რუსეთთან ვერ ითამაშებს შერკინების ფრთა დავით ბოლღაშვილი, რომელსაც გუშინ არც უვარჯიშია. შეგახსენებთ ბოლღაშვილი ირლანდიასთან მატჩში დაშავდა და მას მერე ვერ გამოკეთდა.

ძუნძულით შემოიფარგლა მუხლნატკენი გუჯა იოვაძის გუშინდელი ვარჯიში, რომლის თამაშიც ერთობ საეჭვოა. დანარჩენები კი, მადლობა ღმერთს, ჯანზე არიან და გვარიანადაც გაისარჯნენ.

გეგმის მიხედვით, ნაკრები მკაცრი რეჟიმის პირობებში დღეში ორჯერ ვარჯიშობს — დილით და ნაშუადღევს. დილით მსუბუქად: მოთელვა, კომბინაციების დამუშავება და აუტებში ვარჯიში. ჩვენებურები განსაკუთრებით აუტებს ამუშავებენ, რაკილა ამ კომპონენტში რუსეთი გვარიანად ძლიერია. ნაშუადღევს კი ყველაფერთან ერთად ბორჯღალოსნებმა ორმხრივი საწვრთნელი მატჩიც ითამაშეს. აქ პრინციპი მარტივია: გუნდი ორად იყოფა და ერთმანეთს რიგრიგობით უტევს.

ვარჯიში ისე არ ჩაივლის, ჩვენებმა რუსების დაცვა ან შეტევა არ გაარჩიონ და საწინააღმდეგო ტაქტიკა არ შეიმუშაონ. გუშინაც ასე იყო, განსაკუთრებით უკანა ხაზის მწვრთნელმა პატრიკ ფორიმ დატვირთა შეგირდები. ჯვარედინი კომბინაციების თუ მარაოს დახვეწას ჩვენებმა მთელი საათნახევარი მოანდომეს. 13 ოქტომბერს ბორჯღალოსანთა უკანახაზელების თამაშზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული, თორემ შერკინებაში ქართველები თუ არ ჯობნიან, არაფრით ჩამოუვარდებიან რუსებს.

ერთი საგულისხმო ფაქტიც. ორმხრივი თამაშისას სორელმა ერთ მხარეს ის მორაგბეები დააყენა, რომელთაც კვირას, ალბათ, ძირითად შემადგენლობაში შეიყვანს. ჩვენი ნაკრების ეს სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა ასეთია: შველიძე, გიორგაძე, ცაბაძე, ნადირაძე, დიდებულიძე, მჭედლიშვილი, ლაბაძე, ზედგინიძე, აბუსერიძე, ჯიმშელაძე, ხეხელაშვილი, კაცაძე, ზიბზიბაძე, ურჯუკაშვილი, ხამაშურიძე.

საღამოს ვარჯიშის შემდეგ ნაკრებმა სასტუმროს მიაშურა. ჩვენებმა ცოტა დაისვენეს, მერე ივახშმეს და რუსთა მატჩებიც გაარჩიეს. მეტოქის თამაშების ვიდეოფირებს ბორჯღალოსნები ყოველდღე ატრიალებენ და ყოველ დეტალზე დაწვრილებით ბჭობენ, ასე იყო გუშინ, ასე იქნება დღეს და ასე იქნება ხვალ.

გუშინდელი დღე თეორიული მეცადინეობით დასრულდა.

დღეს ბორჯღალოსნები ისევ ორჯერ ივარჯიშებენ, ხვალ კი მატჩის ადგილზე, „ეროვნულ" სტადიონზე ივარჯიშებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# რუსებმა ფრანგებს ძალა გამოსთხოვეს

## დიმჩენკომ უკვე ჩამოასხა

**არ გამართლდა** ვარაუდი, თითქოს ფრანგული „მონტობანი" რუს ლეგიონერებს სერგეი სერგეევს, ვიაჩესლავ გრაჩოვსა და კონსტანტინ რაჩკოვს სანაკრებოდ არ გაათავისუფლებდა და ამ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში ათამაშებდა. რუსთათვის ამის საშიშროება მართლაც არსებობდა, მაგრამ ნაკრების სამხრეთაფრიკელი მწვრთნელი ჯეიმს შტოფბერგი „მონტობანის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმდა და ნაკრების მთავარი ძალა სათბილისოდ დაიგულა. პრობლემები ჰქონდა გარუსებულ ყაზახ მურატ უამბაევსაც. მას კონფლიქტი აქვს თავის კლუბ „გრენობლთან" და სასამართლოშიც კი უჩივლა. საქმე ისაა, რომ „გრენობლმა" უამბაევი სოლიდური თანხით დააჯარიმა, რაკი მან რუსეთის შვიდკაცა ნაკრებში ითამაშა და უკან ტრავმირებული დაბრუნდა არადა, კონტრაქტით კლუბმა უამბაევი დაუბრკოლებლივ უნდა გაუშვას 15-კაცა და შვიდკაცა ნაკრებებში. ასე რომ, უამბაევიც სათბილისო სიაშია.

სულ რუსები 24 მორაგბით გვეწვევიან. თავიდან ნავარაუდევი იყო, რომ ნაკრების მწვრთნელები ჯეიმს შტოფბერგი და ალექსანდრ პერვუხინი თბილისში 29-კაციან შემადგენლობას ჩამოიყვანდნენ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და საბრძოლო რაზმი გაცხრილეს.

მწვრთნელებმა ეს მორაგბეები დაიტოვეს: *იგორ დიმჩენკო („ენისეი სიბტიაჟმაში"), ანდრეი კუზინი („ვვა-პოდმოსკოვიე"), ალექსეი კორობეინიკოვი („ენისეი სიბტიაჟმაში"), ვიქტორ მოტორინი („ვვა-მოდმოსკოვიე"), ვალერი ფედჩენკო („კრასნი იარი"), იგორ ნიკოლაიჩუკი („კრასნი იარი"), ალექსეი ტრავკინი („ვვა-პოდმოსკოვიე"), ოლეგ შუკაილოვი („კრასნი იარი"), რომან რომაკი („ენისეი სიბტიაჟმაში"), იგორ ნიკოლაიჩუკი („კრასნი იარი"), ალექსანდრ ხროკინი („ვვა-პოდმოსკოვიე"), იოჰან ჰ ენდრიქსი („კრასნი იარი"), კონსტანტინ რაჩკოვი („მონტობანი"), ვიაჩესლავ გრაჩოვი („მონტობანი"), ალექსანდრ იანიუშკინი („პენზა"), პაველ ნოვიკოვი („ენისეი სიბტიაჟმაში"), სერგეი სერგეევი („მონტობანი"), ოლეგ აზარენკო („კრასნი იარი"), რენე ფოლხენკი („კრასნი იარი"), მურატ უამბაევი („გრენობლი"), ვერნერ პიტერსი („კრასნი იარი"), ალექსეი სერგეევი („ვვა-პოდმოსკოვიე"), ალექსანდრ ზაკარლიუკი („კრასნი იარი"), ვლადიმირ სიმონოვი („კრასნი იარი"), ვიაჩესლავ ზიკოვი („ენისეი სიბტიაჟმაში").*

გუშინ რუსეთის ნაკრებმა მოსკოვის „სლავას" ბაზაზე გაასრულა სათბილისო შეკრება და დღეს ჩვენსა ჩამოფრინდება.

თბილისში გამოფრენამდე კი რუსმა მორაგბეებმა თავისტომ ჟურნალისტებთან მომავალ მატჩზე ილაპარაკეს.

**სერგეი სერგეევი:** წლეულს ჩვენ უკვე ვითამაშეთ თბილისში. ის დღე არ დამავიწყდება, 3 მარტი იყო. ჩემი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება (სერგეევი უკვე 36 წლისაა), არც ერთ სტადიონზე არ მინახავს, ამდენი ხალხი რაგბის მატჩზე მოსულიყო. თამაშის საყურებლად სამოცი ათასი კაცი მოვიდა. მე პირველად ვთამაშობდი ამდენი გულშემატკივრის წინაშე. ტემპერამენტიანმა ქართველმა ქომაგმა გავლენა იქონია მატჩის შედეგზე. ჩვენ ფრედ, 12:12 ვითამაშეთ. ყველანაირი შანსი გვქონდა, ის მატჩი მოგვეგო, მაგრამ მიუტევებელი შეცდომები დავუშვით. ახლა იმედი მაქვს, რომ ამას აღარ გავიმეორებთ. მომავალ მატჩში გამარჯვების მეტი შანსი ჩვენ უფრო გვაქვს, ვიდრე ქართველებს, მიუხედავად ქართული ქომაგობისა, რომელიც „მეთექვსმეტე მოთამაშეა" საქართველოს ნაკრებში.

**ვიაჩესლავ გრაჩოვი**, რუსეთის ნაკრების კაპიტანი: „შანსები თანაბარია. თბილისში ჯერ არ მოგვიგია. იმედია, ნავსი გატყდება და 13 ოქტომბერს რუსეთი გაიმარჯვებს. რაც შეეხება პოლიტიკას, ეს სპორტსმენების საქმე არ არის. პოლიტიკა ბინძური რამაა, რაგბი კი სუფთა თამაშია.

**იგორ დიმჩენკო:** ჩვენ და ქართველი მორაგბეები მსოფლიოს თასის საგზურისთვის ვიბრძვით, რომელიც ერთია და არ გაიყოფა. მთელი ინტრიგაც ესაა, თორემ პოლიტიკასთან საერთო არაფერი გვაქვს. იმედია, მატჩის შემდეგ ჩინებულ ხასიათზე ვიქნებით და კარგადაც მოვულხენთ.

**ბაჩო სვანიძე**



რუსთა გოლიათი სერგეი სერგეევი

კალათბურთი



როგორც იქნა, ჰიუსტონში და იაო მინგმა ხელი ხელს დაჰკრეს

# ჟირაფს კისრისხელა ხელფასი დაუნიშნეს

**წლევანდელი დრაფტის** რჩეული, ჩინელი იაო მინგი აქამდე უკონტრაქტოდ იყო, გუშინ კი მისმა ამრჩევმა „ჰიუსტონ როკეტსმა" უახმახეს აზიელთან შეთანხმებას მიაღწია. მინგი დათანხმდა კონტრაქტის პირობებს და ამერიკაში რომ ჩავა, დოკუმენტიც გაფორმდება.

„ჰიუსტონსა" და იაო მინგს შორის ჩინეთის კალათბურთის ფედერაცია დგას, რომელსაც კალათბურთელის ახალ გუნდში არგასაშვებად მიზეზები არ ელევა. ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზე დაიხმარა, ახლა კი კორეაში აზიური თამაშები გამოტყვრა. არადა, ბოლო ოთხი წელია, დრაფტის პირველ რაუნდში არჩეული არც ერთი კალათბურთელი სეზონის დაწყებამდე უკონტრაქტოდ არ დარჩენილა. წლეულს კი ნბა კარზეა მომდგარი და დრაფტის პირველადგილოსანს არათუ კონტრაქტი გაუფორმებია, „ჰიუსტონთან" არც კი უვარჯიშია.

ჰიუსტონში, როგორც ჩანს, ლოდინი მობეზრდათ და აზიურ თამაშებში ჩინეთის ნაკრებზე „გადამკვდარი" 226-სანტიმეტრიანი მინგი საკონტრაქტო პირობებზე დაითანხმეს. ისე, რა დათანხმება უნდოდა, საქვეყნოდ ცნობილია, რომ „ჟირაფი" ნბა-ში თამაშზე ოცნებობს, თანაც იმდენი მილიონი შესთავაზეს, მაოს შვილთაშვილიც კი ვერ გაუძლებდა ცდუნებას.

კონტრაქტის დეტალები არ გახმაურებულა, თუმც გაზეთმა „ჰიუსტონ ქრონიკლმა" გამოარკვია, რომ ჩინელი გოლიათი სამ წელიწადში 18 მილიონ დოლარს მიიღებს, აქედან სადებიუტო სეზონში მხოლოდ — 3,8 მილიონს. არადა, ნბა-ს კანონით დრაფტის რჩეულისთვის საკონტრაქტო თანხის მინიმუმი 10,26 მილიონია, ჰიუსტონელები კი ბარე ორმაგს გამოვიდნენ. ვინ იცის, ჩინელთა ურჩობა ეგებ შეთითხნილიცაა, რათა ამერიკელებს რაც შეიძლება, მეტი ფული დასცინცლონ. ფედერაციის ჯიუტობით იაომ რომ მხოლოდ მოიგო, ხელმოსაწერად გამზადებული კონტრაქტიდანაც ჩანს.

**ირაკლი ბზრტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შევრონ რალი საქართველო 2002

# თავგზიანი ხალხი სწორ გზაზე

**ერთ კვირაში** ისევ ახმაურდება თბილისის შემოგარენი — ტრადიციული საერთაშორისო რალის მონაწილეები სამდღიან გზას დაადგებიან.

„შევრონ რალი საქართველო 2002“ წლეულს მეორედ ტარდება, ამდენად შეჯიბრების ორგანიზატორს — ჩვენს ეროვნულ საავტომობილო ფედერაციას — გამოცდილება უკვე აქვს. თანაც, ცხადია, გათვალისწინებული იქნება ის ხარვეზები, რომლებიც შარშან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციიდან (FIA) მოვლენილმა დამკვირვებელმა თავის პატაკში აღნიშნა. ასე რომ, იმედია, ასპარეზობა სასურველ დონეზე ჩაივლის და უმთავრეს მიზანსაც მივაღწევთ, ანუ ქართული რალი გაისად ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი გახდება.

გუშინ ჩვენი ავტოფედერაციისა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სავაჭრო კომპანია „შევრონის“ ხელმძღვანელობამ ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართეს. აღინიშნა, რომ რბოლის ევრონორმების შესატყვისად ჩასატარებლად შექმნილია სამთავრობო კომისია, ხოლო შეჯიბრების დირექტორად სწორედ შარშანდელი დამკვირვებელი, ბულგარელი ალექსანდრ ბოშნაკოვია დანიშნული.

სარბოლო დისტანცია წინანდლისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. მონაწილეებს 545 კილომეტრის გავლა მოუწევთ, აქედან 212 კმ — ჩქაროსნულ რეჟიმში, მარშრუტად კი თბილისის, რუსთავის, მცხეთის, წყნეთის, ტაბახმელისა და კოჯრის გზებია შერჩეული. ასპარეზობის ორგანიზებასა და პრიზიორთა დაჯილდოებას სოლიდური თანხა სჭირდება, რასაც მხოლოდ ფედერაცია ვერ გასწვდებოდა. როგორც დასახელებიდან ჩანს, ამჯერადაც უმთავრესი დამფინანსებელი, ანუ გენერალური სპონსორი „შევრონი“ გახლავთ.

სამდღიან შეჯიბრში სავარაუდოდ ოცდაათამდე ეკიპაჟი ჩაებმება, მათგან თითქმის ნახევარი მასპინძელთა მანქანები იქნება, სტუმრებს კი ელიან რუსეთიდან, სომხეთიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან... ვფიქრობთ, თბილისში საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა შეიკრიბება და რბოლა-ბრძოლაც საინტერესო და ლამაზი სანახავი იქნება.

**გია ახალაძე**





# ჰაასსა კარგი თამაშით...

# ჯენიფერი ანუ არაფერი: შავი დების თეთრი ფონი



ტომი ჰაასი

**ლიონის საერთაშორისო ტურნირი**
ხალიჩა. საპრიზო 761 ათასი $

**პირველი წრე**

**ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — **ფერნანდო მელიგენი** (ბრაზილია) 6:3, 6:4; **მაქს მირნი** (7, ბელარუსი) — **ოლივიე როშუ** (ბელგია) 6:3, 7:5; **ანდრე სა** (ბრაზილია) — **კენეტ კარლსენი** (დანია) 6:3, 6:7 (4:7), 6:1; **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბუტე** (საფრანგეთი) 6:2, 7:5; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ჟან-მიშელ გამბილი** (აშშ) 6:2, 7:6 (9:7)

**მეორე წრე**

**მარატ საფინი** (1, რუსეთი) — **უეინ არტურსი** (ავსტრალია) 6:3, 4:6, 7:6 (12:10); **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — **ფერნანდო გონსალესი** (6, ჩილე) 6:4, 6:3; **კრისტიან პლესი** (დანია) — **ივან ლიუბიჩიჩი** (8, ხ ) 4:6, 6:4, 6:4

მარატ საფინი იმ დღეს ბეწვზე გადარჩა — ავსტრალიელ უეინ არტურსს, რომელსაც მათი წინა ორი შეხვედრიდან ორივე მოეგო, ერთ მომენტში ორი მატჩბურთი ჰქონდა და ტაი ბრეიკის მესამედ გასაიმასწორებლად ერთი ჯიგრიანი მიძალება აკლდა. ვაგლახ — საფინმა სახიფათო ზონიდან გამოსვლა მოახერხა და გადამწყვეტ ტაიბრეიკზეც მეტოქეზე ოდნავ ზუსტად ითამაშა.

ეს მართლაც ძალიან ძნელი მატჩი იყო, ამბობდა მერე. „მისი მოწოდების წაკითხვა მაგრად გამიჭირდა. მე თუ მკითხავთ, უეინს მთელ ჩვენს ამქარში საუკეთესო მოწოდება აქვს. ზოგჯერ კი უკანახაზიდანაც ისე საუცხოოდ უბრახუნებს, რომ საერთოდ ველარ არკვევ, როგორ და რანაირად ეთამაშო. ისე — ტურნირზე ერთი ისეთი შეხვედრა ყოველთვის გამოგიტყვრება, რომელშიც შესაძლებლობების ზღვარზე გარჯა გიწევს. ეს სწორედ ასეთი შეხვედრა იყო“.

22 წლის თვისტომისგან განსხვავებით შედარებით იოლი, ოღონდ საპირველწრეო მატჩი ხვდა წილად ლიონის 1996 წლის ჩემპიონ ევგენი კაფელნიკოვს. თუმცა თავად სოჭელი მის ყოველ მორიგ წაბურთავებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც, ნაამსეზონევს დიდი ჩოგბურთიდან წამსვლელს, უნდა, „მაქსიმუმი გამოწუროს ყველაფრიდან და იმდენი მატჩი მოიგოს, რამდენიც კი შესაძლებელი იქნება“.

ისევ გაილაღა და ბოლო ათი დღის განმავლობაში მე-9 (!) გამარჯვება იგუნა გასულ უქმეებზე მოსკოვიდან კრემლის თასის წამლებმა ფრანგმა პოლ-ანრი მათიომ. მომავალი კვირიდან დასვენებას ვაპირებ და მანამდე არც თავს დავზოგავ და არც მეტოქეებსო, ასე უთქვამს მას თვისტომ ბუტეს დამორჩილების შემდეგ.

იმარჯვა მეორე ფრანგმა — არნო კლემანმაც, ვისაც კარიერის ერთადერთი ტიტული სწორედ ლიონში, ორი წლის წინ მოუნაგრავს და ვინაც მეექვსე ნომრად განთესილი ჩილელი ფერნანდო გონსალესი აოტა. ეს მათი მესამე შეხვედრა გახლდათ და ორი კვირის წინ პალერმოულ ტურნირზე სეზონის მეორე ტიტულის მიმთვლელმა (და, საერთოდაც, ცხოვრების საუკეთესო სეზონის მოთამაშე) ჩილელმა მეტოქეს პირველად დაუთმო.

გააბუნძურეს შარშანდელი ჩემპიონი, ხორვატი ივან ლიუბიჩიჩი. ეს დანიელმა კრისტიან პლესმა გააკეთა, რომელიც (ჰიუსტონისა და ტაშკენტის მეოთხედფინალების შემდეგ) სეზონში თავის მესამე მეოთხედფინალურ შეხვედრას გამართავს.

სანაცვლოდ დანიელებმა კენეტ კარლსენი, გასულ კვირას ტოკიოს ამკლები მეჩოგნე მოისაკლისეს. კარლსენს ბრაზილიელმა სამ აჯობა, ვის მთავარ საწლევანდლო წარმატებადაც უიმბლდონურ მეოთხედფინალში დამარცხება მოიაზრება.

**ვენის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 765 ათასი $

**პირველი წრე**

**ტომი ჰაასი** (1, გერმანია) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) 6:2, 2:6, 7:5; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — **ზელკო კრაიანი** (ხორვატია) 7:5, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — **ვინს სპადია** (აშშ) 3:6, 6:2, 6:3

**მეორე წრე**

**კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) 6:3, 2:6, 7:6 (9:7); **ირჟი ნოვაკი** (5, ჩეხეთი) — **გილერმო კორია** (არგენტინა) 7:5, 6:2

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ტომი ჰაასს, რომელსაც წლეულს ერთი ქეციანი ტიტულიც არ რგებია, იმ დღეს კინაღამ ჩოგნის ნაადრევად დაშლითება მოუხდა. მისი დამხაფრავის როლი განუთესავმა რუსმა მიხაილ იუჟნიმ იკისრა. სკვითბიჭს ორიოდ ბურთის მოგებაღა აკლდა, რათა მთავარმჩოგნე გაეპანღურებინა, მაგრამ ტომიმ მესამე სეტში 3:5-ზე ზედიზედ ოთხი გეიმის მოგება მოახერხა და წასაგები საქმე მოგებულად შეატრიალა.

ამას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მატჩს მისი მშობლები — პეტერი და ბრიგიტი ესწრებოდნენ. გეხსომებათ, ეს სათნო ხალხი ივნისში უსაშინლეს ავტოავარიაში მოხვდა და ისე დაიფეხვა, რამდენიმე თვის განმავლობაში შვილის მატჩზე დასწრება კი არა, მისი ტელევიზიით ყურებაც არ შეეძლო...

„ალბათ ამიტომაც ვნერვიულობდი — ღიმილობდა მერე ჰაასი — პირველი წრე ხომ ისედაც ფათერაკიანი რამეა — სანამ რიტმს იპოვი, სანამ აზრზე მოხვალ... მე კი ისიც დამემატა, რომ მინდოდა, მშობლებისთვის მეამებინა. თან სასურველი ფორმისგან ისედაც შორს ვარ, ვერც ჩვეულად ვმოძრაობ და მარჯვენა მხარიც ძველებურად მიჩმახებს. აქ რამეს თუ ვაპირებ, უსათუოდ უნდა მოვუმატო, თორემ დაჩოგვნა არ ამცდება“.

ასეთივე საშიში ბურანობა გადახდა იმ დღეს კარლოს მოიასაც, ვინაც არგენტინელ აგუსტინ კალერის გადამწყვეტ ტაიბრეიკზე ერთი მატჩბურთი მოუგერია და მერე ორი ბურთის ჩაკამარებით თავისი მორიგი მეოთხედფინალისაკენ გაიქაჩა.

სეზონის 46-ე გამარჯვება მოიპოვა ჩეხმა ირჟი ნოვაკმა — მან ასევე არგენტინელ გილერმო კორიას უგანა.

მესამე საწლევანდლო ტიტულის გზაზე კიდევ ერთი რიგიანი ნაბიჯი გადადგა 21 წლის შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა. ხორვატ მეკვალიფიკაციე ზელკო კრაიანს ის სადღაც საათში მოერია.

„ჩემნაირი ზეათეულელისთვის მისდარ უსახელო მეჩოგნეებთან თამაში ყოველთვის სახიფათოა — ამბობდა მერე — როგორც წესი, ჩვენ მათ საერთოდ არ ვიცნობთ და ხშირად ისეც ხდება, მათი გაცნობა ძვირად რომ გვიჯდება ხოლმე“.

„ამ ტურნირის მოგება ჩემი ოცნებაა. აქ ადრეც კარგად გამოვსულვარ და იმედია, ტიტულს წელს მაინც გამოვრჩები“.

სხვაფრივ — დანარჩენი მატჩებიდან გამოყოფას ჯეიმს ბლეიკისა და ვინს სპადიას შიდაამერიკული გაიდაგანა იმსახურებს. გაიდაგანა სასეირო და აიწონა-დაიწონა გამოდგა და უმჯობესი მანამ არ გაირკვა, სანამ მესამე სეტში სპადიას აშკარა დაღლილობა არ დაეტყო, ხოლო ბლეიკმა, პირუკუ, ჭაბუკური მადა არ გამოავლინა. თავს გადასარევად ვგრძნობო, ყიჟინობდა ნამატჩევს ბლეიკი, თუმცა იქვე ამატებდა, რომ მისი კანდიდატურა ტურნირის ფავორიტთა შორის განსახილველი არ არის.

შეგახსენებთ, რომ შავხუჭუჭა ბლეიკმა კაცთა ამქარში ჩოგანი წლეულს „გამოყო“ და, ჯიშად ნიუიორკელმა, კარიერის პირველი ტიტული აგვისტოში ვაშინგტონში მოიხვეჭა.

**PORSCHE TENNIS GRAND PRIX**
ფილდერშტადტი. ჰარდი
საპრიზო 625 ათასი $

**პირველი წრე**

**ანი კრემერი** (ლუქსემბურგი) — **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) 6:4, 7:6 (7:5); **მირიამ კაზანოვა** (შვეიცარია) — **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) 1:6, 6:3, 6:4; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — **ამანდა კუცერი** (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:0

**მეორე წრე**

**ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — **ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) 7:6 (7:4), 4:6, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) 6:4, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (8, სლოვაკეთი) — **ბარბარა შეტი** (ავსტრია) 7:5, 6:1

ჯენიფერ კაპრიატის ტიტულყაბზობა გრძელდება. მას შემდეგ, რაც რომ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში მარტინა ჰინგისს ლამის თავზე დადგმული გვირგვინი წაჰგვარა, ბუთქუნა ჯენის ერთი ქეციანი ტურნირიც აღარ მოუგია და მთელი ამ ხნის განმავლობაში შავდა უილიამსების თეთრი ფონის როლსღა ასრულებს. ამჯერად ის ჯულიუს ირვინგის გატიკნილმა ნაბუშარმა — პირველ წრეში კვალიფიკაციებიდან მოხვედრილმა ალექსანდრა სტივენსონმა დააკნინა.

ეს სტივენსონის მიერ ჯენის მეორე საწლევანდლო ძლევა იყო — სახელიან თვისტომს მან პირველად ადრეიანვარში, სიდნეის ტურნირზე მოუგო.

„დღეს ბადესთან უკეთ ვითამაშე, მეტი მომგებიანი დარტყმა შევასრულე და გადამწყვეტი გათამაშებების დროსაც ვჯობნიდი“ — თავს იქებდა ნამატჩევს ალექსანდრა.

მსოფლიოში მესამე ჩოგნის მქნეველ კაპრიატის გასამართლებლად შეიძლება ის ითქვას, რომ აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში ამელი მორესმოსთან დამარცხების შემდეგ მას ჩოგანი ერთხელაც არ გაენძრია, ამის გამო ოდნავ მოჟანგული ჩანდა და მეტოქის ხათქუნა ხელწალმა-უკულმებს ამიტომაც ვერ გაეღავა.

„მართალი ბრძანდებით — ამგვარ საბუთებს თავად ჯენიც იზიარებდა — ძნელია, უთამაშებელი კორტს რომ უბრუნდები და თანაც ჭერქვეშ. თუმცა მე ცუდად მაინც არ მითამაშია. უბრალოდ, მან ითამაშა საუცხოოდ. მოწოდებითაც ჩინებულად აწოდა, სხარტადაც იმოძრავა და თუ ჩაჭრილები, თუ არეკნები სანიმუშოდ მიტყაპუნა“.

ასეა თუ ისე, სტატისტიკის თანახმად ტურნირის ისტორიაში ეს სულ მეორედ მოხდა, მთავარგანთესილი პირველი წრიდა რომ აებარგებინათ. პირველად ეს 1995 წელს იყო, როცა კონჩიტა მარტინესმა ასევე ნაკვალიფიკაციევ პეტრა ბერგეროვასთან ჩაიფლავა.

კაპრიატისგან განსხვავებით რიგიანად გაირჯა შარშანდელი ჩემპიონი და წინა უქმეებზე კრემლის თასის ფინალში მაგდალენა მალეევას მიერ ძლეული ლინდსი დევენპორტი. მან წლეულს სამი ტიტულის მომქუჩებელი ანა სმაშნოვა დაჩოგნა. ეს მათი მე-4 შეხლა იყო და სმაშნოვას ლინდსისთვის ჩოგნის შებრუნება ერთხელაც ვერ მოუხერხებია.

ჰო, მართლა — მარცხი იწვნია თავად მალეევამ, ვინაც — ნაკრემლარი დაღლილობა იყო თუ სხვა რამ — ისე-რა ლუქსემბურგელ ანე კრემერთან სულაც სეტისმოუგებლად წააგო.

**ლევან ძელაურაძე**



ჯენიფერ კაპრიატიმ ძალიან ჩაიდალმართა

მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. არგენტინა 28 სექტემბერი-13 ოქტომბერი

# რუბენ აკოსტამ რუსებს ფრენბურთი დაუნაღმა

**მეოთხედფინალი. 9 ოქტომბერი**
**საფრანგეთი 3:1 არგენტინა**
**ბრაზილია 3:2 იტალია**
**იუგოსლავია 3:0 პორტუგალია**
**რუსეთი 3:0 საბერძნეთი**

**მსოფლიოს** ჩემპიონატი სენსაციებით დაიწყო და სენსაციებით გრძელდება. განა სენსაცია არ იყო, ევროპაში საშუალო დონის საბერძნეთის ნაკრების მეოთხედფინალში გასვლა ან კუბელების პირველსავე ჯგუფურ ეტაპზე ჩარჩენა. აშშ-ს პლეი ოფში ვერგასვლაც არ დავივიწყოთ. ერთი სიტყვით, არგენტინაში მოულოდნელობების და დრამების ჩემპიონატია.

მთავარი დრამა კი მეოთხედფინალში დატრიალდა, როცა ტურნირის უპირველესმა ფავორიტმა და მასპინძელმა არგენტინამ მოულოდნელად წააგო საფრანგეთთან. ბუენოს აირესის „ლუნა პარკში" შეკრებილი 10 ათასი ფანის თვალწინ მასპინძელთა მარცხს ალბათ თვით ფრანგებიც არ ელოდნენ. დაფდაფებით, საყვირებითა და ცისფერ-თეთრი დროშებით შეიარაღებული იმხადა მთელი 2 საათი არ გაჩუმებულა, მაგრამ ამანაც ვერ გაჭრა. პირველი სეტის იოლად 25:14 მოგების შემდეგ არგენტინელებს მძიმე ბრძოლა გადახდათ და მომდევნო სამ სეტში აფოფრილი „მამლებისგან" 27:29, 23:25 და 18:25 დაიკორტნენ.

ახლა არგენტინელებს ისღა დარჩენიათ, მე-5 ადგილისთვის იბრძოლონ. ტურნირის ორგანიზატორებს კი გვარიანი თავსატეხი გაუჩნდათ: ღმერთს უმადლონ ნახევარფინალში ტრიბუნები სანახევროდ მაინც თუ შევსხოთ — მასპინძლების გავარდნით ხომ ადგილობრივების ინტერესმა, საგრძნობლად იკლო.

ნამდვილი ტრილერი იყო ბრაზილიისა და იტალიის შეხვდა. საპლაჟო ფრენბურთის „გენერლებმა" მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიას უდაძაბულეს 5-სეტიან რახარუხში გამოუყვანეს წირვა და მეოთხედფინალიდან უბოდიშოდ დაითხოვეს. მატჩს ესწრებოდა ფიფას ყოფილი პრეზიდენტი ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი. მსოფლიოს ფეხბურთის ექსგამგებელი მსოფლიოს ფრენბურთის ამჟამინდელ იმპერატორ, მექსიკელ რუბენ აკოსტასთან ერთად იჯდა. ბოროტი ხმები ამბობენ, ეს ორი შემთხვევით არ შეყრილაო.

ახლა იუგოსლავიამ იკითხოს. ვაითუ აველანჟმა და აკოსტამ რაიმე შხაკვრული მოილაპარაკეს და ნახევარფინალში ბრაზილიასთან იუგებს ონები მოუწყონ.

ასეთი ამბავი კი გამორიცხული არაა. უკვე ბევრს ლაპარაკობენ, რომ აკოსტამ რუსები აირჩია და ყველაფერს აკეთებს, ამათ რომ არ გაიხარონ. რუსები კი აკოსტას ნაღმზე ჯერ არ აფეთქებულან და წინ მიიწევენ.


REUTERS
გახარებული ფრანგები და დაღვრემილი არგენტინელები




ლოსანჯელესელ მცველ ფილიპ პოტვენს ფინიქსელი ბრანკო რადივოევიჩი უტევს

*9 ოქტომბერს ნჰლ-ის მორიგი რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო. სამი მატჩი ჩატარდა. აქედან მთავარი კოლორადო — დალასის დაპირისპირება იყო, მაგრამ პირველი დღის მთავარი მოვლენა ლოს ანჯელესში მოხდა. იქ ადგილობრივი „მეფეები" ფინიქსს მასპინძლობდნენ და უეინ გრეცკი, უკვე მერამდენედ, წმინდანად შერაცხეს*

# უეინ გრეცკი ძეგლი და წმინდანი

**ლოს ანჯელესი 4:1 ფინიქსი 0:0 2:1 2:0**
**1:0 ბელანჟე (7), 2:0 პალფი (33), 2:1 მარტკოვი (39), 3:1 შნაიდერი (60), 4:1 ლაპერიე (61)**

სჯობს სახელისა მოხვეჭაო და... მერე არც დიდება დაიგვიანებს. ლეგენდარული ჰოკეისტი უეინ გრეცკი რამდენიმე გუნდში თამაშობდა და არაერთხელ მიუგიათ მისთვის პატივი, არაერთხელ უხილავს თავისი მაისურა დროშასავით აფრიალებული. ედმონტონმა, ნიუ იორკმა და ფინიქსმა უკვე მოიხადეს ვალი მის წინაშე. ახლა კი ლოს ანჯელესის ჯერი დადგა.

უეინი 1988 წელს ედმონტონიდან ლოს ანჯელესში გადავიდა. მისი კალიფორნიული კარიერა „ოილერზში" გატარებული ოქროს წლებივით არ ბრწყინავდა. „მეფეებთან" ერთად „დიადმა" მხოლოდ ერთხელ მიაღწია თასის ფინალს და მანამდე დამყარებული ფენომენური რეკორდები ველარ გააუმჯობესა, მაგრამ აშშ-ს სამხრეთი, ეგრეთ წოდებული „მზის სარტყელი" რომ ჰოკეის მექად იქცა, სწორედ რომ მისი დამსახურებაა. გრეცკის იქ გადასვლის შემდეგ გაიზარდა ყინულის თამაშისადმი ინტერესი. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 1988 წლამდე სამხრეთში მხოლოდ ერთი გუნდი, თავად ლოს ანჯელესი იყო, ახლა კი რვაა (!). ლოს ანჯელესმა გადაწყვიტა, ღირსეულად დაეფასებინა ამჟამად ფინიქსის თანამფლობელ „დიადის" ამაგი და მართლაც რომ მეფური დღესასწაული მოუწყო. რა თქმა უნდა, აფრიალდა მის N99 მაისურა, მაგრამ სხვაც ბევრი რამ მოხდა მნიშვნელოვანი: თამაშის წინ „სტეპლს სენთერის" შესასვლელთან გაიხსნა „დიადის" ბრინჯაოს სკულპტურა. შემდეგ მასპინძელთა გუნდის მთელი შემადგენლობა ყინულზე გრეცკის N99 მაისურით გავიდა. ცხადია, ამ მაისურებით არ უთამაშიათ, მაგრამ მათი სააპარეზოების ზედა მარჯვენა ნაწილსაც „99" ამშვენებდა, ისევე, როგორც ფინიქსის მოთამაშეებისას. გუნდის ამჟამინდელი ემბლემაც იმ ლოგომ შეცვალა, რომელიც „მეფეებს" გრეცკის დროს ჰქონდათ. „99" ბორტებზეც ეწერა და თამაშის წინ საგანგებოდ გამოშვებულ სასუვენირო შაიბებზეც. ყველაფერი ისეთი შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო, რომ ყოველთვის ემოციურმა და მოკრძალებულმა უეინმა ცრემლები ველარ შეიკავა. გრეცკის, ყინულზე რომ გავიდა, მთელი ოჯახი ახლდა — დედა, მამა, მეუღლე და 4 შვილი. იგი სამი დღის განმავლობაში სტუმრობდა ლოს ანჯელესს.

ყოველივე ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, თამაშს ინტერესი დაკარგვოდა, მაგრამ გუნდებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რათა მატჩი ცოცხალი, შინაარსიანი გამოსულიყო. მართალია, პირველ პერიოდში გოლი არ გავიდა, მაგრამ უამრავი მომენტი შეიქმნა, შემდეგ კი თანდათან მასპინძელთა უპირატესობაც გამოიკვეთა. მით უმეტეს, რომ ფინიქსელებმა რამდენიმე სულელური ჯარიმით გაუადვილეს მეტოქეს საქმე. მეორე და მესამე შაიბა „მეფეებმა" რიცხვმრავლობაში შეაგდეს. ბოლოს სტუმრებმა ჩხუბი წამოიწყეს, მაგრამ ფინიქსელი ანდრეი ნაზაროვისა და მასპინძელი ბრედ ნორტონის შერკინებას სერიოზული სახე არ მიუღია.

უეინ გრეცკის ბიჭებმა წააგეს, თუმც მას წყენა არ ეტყობოდა, მშვიდად მიირთმევდა ყავას VIP-ლოჟაში და იქ შეკრებილ უამრავ სტუმარს ესაუბრებოდა.

მატჩის შემდეგ უეინმა თქვა: „როცა აქ სათამაშოდ ჩამოვედი, ბევრს ეგონა, რომ ამ ქალაქში ჰოკეი ვერ იცოცხლებდა. ამიტომაც დიდი მადლობელი ვარ იმ ქომაგების, რომელთაც ყოველთვის სჯეროდათ ჩემი და გუნდის. ლოს ანჯელესი მათი წყალობით იქცა ჰოკეის ქალაქად".

**კოლორადო 1:1 დალასი 0:1 0:0 1:0 0:0**
**0:1 კაპანენი (5), 1:1 ვრბატა (48)**

ორი ბობოლის ჯახი უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სტუმრებმა სწრაფად გახსნეს ანგარიში და მერე მის შენარჩუნებაზე იზრუნეს, მაგრამ კოლორადომ მაინც გაათანაბრა. ბრწყინვალედ ითამაშა პეტერ ფორსბერგმა. სწორედ მისი გარღვევის შემდეგ მიუვიდა შაიბა ვრბატას, რომელმაც როგორც იქნა დალაშქრა მატჩის კიდევ ერთი გმირის, დალასელი მარტი ტურკოს კარი.

**კაროლინა 1:4 რეინჯერსი 0:0 0:3 1:1**
**0:1 მესიე (28), 0:2 მესიე (31), 0:3 ნედვედი (37), 0:4 ნედვედი (46), 1:4 ბრინდამორი (57)**

ჰოკეისტების პასპორტში არ იხედებიან — რეინჯერსელმა მარკ მესიემ ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა. წინა სეზონში მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ბევრს ეგონა, რომ ველარ დაბრუნდებოდა, მაგრამ „რკინის მარკმა" დაადუმა სკეპტიკოსები. თავის დროზე უეინ გრეცკისთან უდიდეს წარმატებათა გამზიარებელმა და „დიადზე" 7 დღით უფროსმა მესიემ შარშანდელ ფინალისტს სეზონის გახსნის დღე 2 გოლით ჩაუმწარა. მისმა რეინჯერსმა კი ნათლად დაანახვა საზოგადოებას, რომ წლეულს ავანსები უსაფუძვლოდ სულაც არ გაუციათ.

**სამველ ლარიბიანი**


უეინ გრეცკი საკუთარ ძეგლს დაეტოლა

# ლაღად იაპონიაში

მიხაელ შუმახერს თავი ქუდში აქვს ამ სეზონშიც და საერთოდაც: ფორმულის უკვე ხუთგზისი ჩემპიონი თავისდასახალისოდ, სპორტული ნებითღა თუ გამოდის და იბრძვის. წინ კი იაპონიის დიდი პრიზია. სუძუკას გზამდე შუმის იაპონელი ჟურნალისტები გამოსცდიან.



REUTERS ტოკიოდან



# ბაღდადელი რონალდო

ბაღდადში სასიხარულო არაფერია: ცოტაც და ამერიკელებს ვერაფერი დააკავებს, ერაყელები კი მოსალოდნელი ომისთვის ემზადებიან. და მაინც, მაღაზიებიც ღიაა, საფეხბურთო სამოსიც ისევე უყვართ, როგორც სხვაგან და რონალდოც ისევე იწონებს თავს ამ ქალაქში, როგორც დედამიწის ნებისმიერ წერტილში.

# სიცილ-ტირილი

ასე სტირის საუდელი ჯამალ ალ საფარი და ასე ამშვიდებს გახარებული სალემ ალ იაში. ატირებულს აზიის თამაშების ჩემპიონობა მოუგია ას მეტრზე რბენაში, გაცინებული კი მხოლოდ მეხუთე ადგილზე გასულა.



REUTERS პუსანიდან

# ვესტინდონი ინდოეთში

ვესტ ინდოეთის მოკრიკეტეთა ნაკრები ბომბეის ჩაფრენილა კარიბეთიდან, რათა სამტესტა სერია გაუმართოს მასპინძელ ნამდვილ ინდოელებს. რა თქმა უნდა, მოქმედებს მოკრიკეტეთათვის ლამის ტრადიციული, კეთილშობილური პროგრამაც. კარიბელებს კიბოიანი ბავშვები მოუნახულებიათ და მათთვის მუქთი საკრიკეტო გაკვეთილიც ჩაუტარებიათ. ვესტინდოთა კაპიტან კარლ ჰუპერს კი საჩუქრები ჩამოურიგებია საბრალო ბავშვებისთვის.



REUTERS ბომბეიდან

# პუსანში მოვარჯიშენი



რია-რია და ტანვარჯიშობა კი მსოფლიო დონისა გახურდა პუსანში, აზიის მეთოთხმეტე თამაშებზე. პირველობა არავის დაუთმეს ჩინელმა გოგოებმა. მასპინძელი სამხრეთკორეელები ბრინჯაოთიც კმაყოფილნი დარჩნენ, მეორე ადგილზე კი ყაზახები გავიდნენ. სწორედ ყაზახთა ვარსკვლავის, ალია იუსუპოვას გამოსვლის ერთ წამს გვიჩვენებს როიტერის ფოტორეპორტიორი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge